პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ.-ა. და მაზრ
დეპ. საბ.
ცეკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4, მე 2 სართული
მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ., № 14 მე-2 სართული ტელეფ. № 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—19

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ქ. ბ. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით, განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 258 პარასკევი, 10 ნოემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5,000 მან. № 258

დღიური

რაპალოს ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთის ყველა მოკავშირე რესპუბლიკებზე ვრცელდება. ლონდონში დიდი მღელვარებაა ანგორის მთავრობის ახალი მოთხოვნილების გამო.

ლორდ კერზონმა დიდი საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა.

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების პირველ პარტიულ კონფერენციის დელეგატების

საყურადღებოდ

კონფერენციაზე ჩამოსულ დელეგატების რეგისტრაცია და სადელეგატო ბილეთების გაცემა მოხდება რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის რაიონულ კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში (პეტრე დიდის ქ. № 8 ოთახი 4) 10 ნოემბრიდან დილის 9 ს. 3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

დრ. სამანდატო კომისია.

საქ. კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს კომიაჩეიკებს

ერთიან პარტიულ დღეს

10 ნოემბერს, თვითონ დასვან პროფესიონალურ წარმოებითი ხასიათის საკითხები დღიურ წესრიგში.

თფ. კომიტეტის მდივანი კახიანი.

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის სესიის შედეგები

სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის სესიამ ნაყოფიერად დაასრულა თავისი მუშაობა. ნაყოფიერი იყო იგი არა მარტო განხილულ საკითხების რაოდენობის, არა მარტო მათი საბჭოთა აღმშენებლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მიხედვით, არამედ იმ საკითხების საფუძლიანად განხილვითაც, რომელსაც ფართოთ არჩევდენ საზოგადო კამათის შემდეგ დელეგატების ცალკე ჯგუფები, სპეციალური კომისიები და სექციები.

სესიამ მიიღო შრომის კანონების კოდექსი, რომელიც დასკვნებს უკეთებს ჩვენ პრაქტიკულ მუშაობას ამ დარგში ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს. ყველაზე მნიშვნელოვანად ამ სფეროში უნდა ჩაითვალოს სავალდებულო შრომის ბეგარის გაუქმება, რომელსაც მხოლოდ გამონაკლისის ხასიათი ეძლევა, და აგრეთვე მუშებისათვის ფაბრიკიდან ფაბრიკაში გადასვლის და პროფესიის გამოცვლის უფლების მინიჭება. ამასთანავე უმნიშვნელოვანეს მუხლად უნდა ჩაითვალოს ხელფასის მინიმუმის დაკანონება, საერთო სავალდებულო დაზღვევა და შრომის დაცვა, როგორც სახელმწიფო ისე კერძო წარმოებებში.

სესიამ მიიღო აგრეთვე საბჭოთა სასამართლოს პროექტი, რომელსაც მნიშვნელოვანი ცვლილება და გაუმჯობესება შეაქვს სასამართლოს ორგანიზაციის სისტემაში და აახლოვებს სასამართლო ორგანოებს მცხოვრებლებთან.

ყველაზე უფრო მიღებულ დებულებებს შორის მნიშვნელოვანად უნდა ჩაითვალოს მიწის კანონების კოდექსი. ეს კოდექსი გამომდინარეობს ჩვენი რევოლიუციის ძირითად მონაპოვრიდან—მიწის ნაციონალიზაციიდან. კოდექსის თანახმად ყოველი მიწის მუშა, არის სახელმწიფო მიწაზე მომუშავე, რომელიც სარგებლობს მიწის სარგებლობის უფლებით მხოლოდ მანამ, სანამ იგი ამუშავებს ამ მიწას. კოდექსი აკანონებს მიწით სარგებლობის არსებულ ფორმას, რაც გლეხურ ქვეყანაში მოასწავებს უდიდეს ნაბიჯს მიწის დამუშავების და გაუმჯობესების საქმეში. კოდექსი იხილავს საკითხებს, გამიჯვნის და ხელახალი დაყოფის შესახებ, აწესებს დაქირავებული შრომით სარგებლობის პირობებს, აწესრიგებს საიჯარო უფლებას, აკანონებს მიწათ სარგებლობის თავისუფლებას და სხვ.

სესიის ყველა ეს გადაწყვეტილებანი მიწის საკითხის შესახებ უნდა გახდეს გლეხთა მასების საერთო კუთვნილებათ, რისთვისაც საჭიროა ფართო საგანმანათლებლო მუშაობა კოდექსის განსამარტავად, არა მარტო ჩვენი მიწათმოქმედების ორგანოების, არამედ ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრივ.

სესიის მიერ მიღებულ სამოქალაქო კანონების კოდექსს შეაქვს ჩვენს კანონმდებლობაში ის ცვლილებანი და დამატებანი, რომელიც ნაკარნახევია ახალი ეკონომიური პოლიტიკით. კოდექსი ეხება უძნელეს საკითხებს: კერძო საკუთრების, მემკვიდრეობის უფლებას, ქონებრივი უფლების დაცვის და სხვ. შესახებ, პროლეტარულ დიქტატურის პირობებში. ამ კოდექსის დამახასიათებელ თვისებათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნების სამოქალაქო კანონების წინააღმდეგ, რომელთა თანახმად კერძო საკუთრება აღიარებულია შეურყეველ კანონათ, კოდექსი აყენებს იმ პრინციპს, რომ რესპუბლიკაში შეიძლება არსებობდეს კერძო საკუთრება, იმდენად, რამდენადაც იგი ნებადართულია სახელმწიფოს მიერ და მაშასადამე, რამდენადაც იმისი არსებობა არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს.

სესიამ განიხილა საკითხი ხელისუფლების საგუბერნიო ორგანოების უფლებათა შესახებ. მან თავი მოუყარა მთელ დაქსაქსულ კანონმდებლობას, რომელიც განსაზღვრავდა ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების უფლებას. სესიის დადგენილების შედეგად ჩვენ მივიღეთ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების კონსტიტუციის საფუძვლები.

გარდა ჩამოთვლილ მნიშვნელოვან საკითხებისა, სესიამ მოისმინა მორიგი მოხსენებები ადგილებიდან; ივანოვ-ვოზნესენსკის საგუბერნიო აღმასკომის და ყირგიზეთის ც. ა. კ—ისა. გარდა ამისა სესიამ მოისმინა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საინფორმაციო ხასიათის მოხსენება.

სესიამ დიდი ყურადღება მიაქცია საფინანსო პრობლემებს და ყოველ მხრივ განიხილა ფინანსთა სახ. კომისარის მოხსენება.

თუ უფლებრივ სფეროში სესიამ ჩასწერა თავის კოდექსებში ის რაც არის და ამ მხრივ მან გაუწია ანგარიში სინამდვილეს, ვოლხოვის ელექტრონის სადგურის აღმშენებლობის საკითხის გადაჭრის დროს, მან მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო რესპუბლიკის მომავლის მნიშვნელოვან მომენტს, მან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საჭიროა ყველა საბჭოთა ორგანოების მხრივ ყოველგვარი დახმარება ამ უმნიშვნელოვანეს საქმის მოსაგვარებლად, რომელიც აღორძინებს პეტროგრადის მრეწველობას და პირველ ადგილს დაიჭერს ელექტროფიკაციის იმ გეგმაში, რომელმაც ქვეყნის ეკონომიკაში მთელი რევოლიუცია უნდა მოახდინოს.

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი და ქართველი ფედერალისტები

2

მემარცხენე ფედერალისტები ხშირათ ფიცავენ ოქტომბრის რევოლიუციის ერთგულებას. საბჭოთა ხელისუფლების მცნობი პარტია ვერ იქნება ამ რევოლიუციის უარმყოფელი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მემარცხენე ფედერალისტებს ძალუძთ ოქტომბრის გადატრიალების პლატფორმის სავსებით და სწორეთ გაგება-შეთვისება. პროლეტარულ რევოლიუციის დროშის ქვეშ მათ ძველი ნაციონალისტური საგზლის გადაზიდვა სურთ. „ოქტომბრის რევოლიუციამ გადაჭრით და უყოყმანოდ აღიარა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი სრულ დამოუკიდებლობამდე. ჩვენთვის ეს რევოლიუციის ერთი უდიდესი მონაპოვართაგანი არის და მისი დაცვა-შენარჩუნება სავალდებულოდ მიგვაჩნია ყველა რევოლიუციონერებისათვის", სწერს „ტრიბუნა".

ფედერალისტების წარმოდგენით ოქტომბრის რევოლიუცია მხოლოდ უფლებებს არიგებს, მოვალეობისაკენ კი არავის მოუწოდებს. ოქტომბრის რევოლიუციამ, და მასზე ბევრათ ადრე ჩვენმა პარტიამ, გამოაცხადა ერთა ნამდვილი თვითგამორკვევის უფლება სრულ განცალკევებამდე, საკუთარი სახელმწიფოს დაარსებამდე. „ის სოციალისტი მპყრობელ ხალხისა სოციალისტი არ არის, თუ ის არ სცნობს და არ ანხორციელებს დამოკიდებულ ხალხების თვითგამორკვევას"—ამბობს ჩვენი პარტიის თეზისი. ამის მიმყოლი თეზისი ღაღადებს: „ის სოციალისტი დამონავებულ ერის სოციალისტი არ არის, თუ არ მოუხმობს მშრომელთა სრულ ერთობისაკენ ყველა ქვეყნების მშრომელებთან".

გაყრის უფლება სრულიად არ ნიშნავს გაყრის ქადაგებას. ერის განცალკევება, საკუთარი სახელმწიფოს დაარსება უდაო უფლებათ მიგვაჩნია და მიგვაჩნია. მაგრამ უდაოთ მიგვაჩნია, მიგვაჩნია და მივიჩნევთ კიდეც ყველა ქვეყნების მშრომელთა ერთობის საჭიროებას, სარგებლიანობას და აუცილებლობას. პროლეტარული რევოლიუციის ინტერესი მოითხოვს ძალთა შეერთებას პოლიტიკურ და სამეურნეო ასპარეზზე. ასეთი ერთობა აუცილებელია ეროვნული უნდობლობის და შუღლის ნაშთების მოსასპობად. ეს ანბანური ჭეშმარიტება დაედვა საფუძვლად ამიერ კავკასიის რესპუბლიკების დაკავშირებას. სამი რესპუბლიკის—საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის—მშრომელებმა შექმნეს ნიადაგი საერთო მუშაობის და ბრძოლის, ძალთა შეერთების, ურთიერთსადმი დახმარების. კეთილმეზობლობა და ძმობა მხოლოდ ფედერაციის განხორციელების შემდეგ იქცენ ხორცშესხმულ ცნებათ, მხოლოდ ახლა ჩამოეცვება მათ სისხლში ამოვლებული პირმოთნეობის ტალახი, რომლითაც ასე შესაზარათ გასვარეს ისინი ოქტ. რევოლ. შეურიგებელმა მტრებმა—მენშევიკებმა, დაშნაკებმა, მუსავატელებმა. მშრომელთა კუთვნილი ამიერ-კავკასია 1918—20 წ. წ. სისხლით მქმნავ ვულკანს წარმოადგენდა, ის ბალკანეთის კუნძულს ჰგავდა, ქართველი სომეხს სჭირდა ყელს, სომეხი ქართველს, აზერბეიჯანელი თათარიც საკუთარ და სხვის სისხლს ღვრიდა—მსოფლიო იმპერიალიზმის ჯალათები და მათი წვრილფეხა დამქაშები, ე. წ. „ეროვნული მთავრობები" კი კმაყოფილათ ხარხარებდენ. საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ვულკანის ჩაქრობა და მოტყუებულ მშრომელი ხალხების ერთს პოლიტიკური გუმბათის ქვეშ თავის მოყრა. საზარელი ჭრილობები ჯერ კიდევ მოშუშებული არ არიან, მაგრამ ერთობის ატმოსფერამ ყველა გამოაფხიზლა, თვალი აუხილა გუშინდელ მოტყუებულ მტრებს და ძმობის საძირკველი გაამაგრა.

ეს მხოლოდ დასაწყისია, სრული გამარჯვების დღესასწაული მხოლოდ შემდეგ თაობას ელირსება—ეკონომიური ინტერესი მუშაობს და იმუშავებს ამ მიმართულებით. მშრომელთა დიქტატურა პოლიტიკური ზომებით ხელს უწყობს და შეუწყობს ამ პროცესს. ფედერაცია აუცილებელი, თუმცა გარდამავალი საფეხურია ამ პროცესის გასაძლიერებლათ... მემკვიდრეობით ნაციონალისტები სხვა რიგათ სჯიან და მოითხოვენ უკვე არსებული და ცხოველმყოფელი ფედერაციის მოშლას: „უნდა გაუქმდეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კერძო კავშირი და საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი დამოუკიდებლად შევიდნენ საერთო კავშირში"—ვკითხულობთ „ტრიბუნა"-ს მოწინავე წერილში (№ 433).

მაშასადამე, ფედერალისტების რეცეპტით დღეს თუ არა ხვალ მაინც ამიერ-კავკასიის მშრომელთა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ერთობა უნდა მოიშალოს, ამიერ კავკასია ხელ ახლა გადიღობოს სახელმწიფოებრივი საზღვრებით, საბაჟოებით; უნდა მოხდეს ხელახლა რკინის გზების გამიჯვნა, ტელეგრაფის ბოძებსაც ჩამოეკიდოს ეროვნული იარლიკი, საგარეო ვაჭრობა უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულება თითეულ რესპუბლიკამ თავთავისათ მოაწყოს და სხვა, ესე იგი მენშევიზმი და დაშნაკიზმი საბჭოთა ხელისუფლების ვივესკით—აი რას გვჩრიან ხელში.

ამას უწოდებენ ჩვენებური ფედერალისტები ოქტომბრის რევოლიუციის ახდენას და მისასრულებას. ჩვენ კი ამას უწოდებთ ნაციონალიზმის ფრთის გაშლას.

საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის პოლიტიკა და ტაქტიკა საკმაოთ მოქნილია, ის მუდამ ანგარიშს უწევს არსებულ პირობებს და ძალთა განწყობილებას, და იმდენათვე მას ახასიათებს [illegible]. ჩვენ საკმაოთ დავთმეთ პროგრამული მოთხოვნებიდან, მაგრამ ამ საკითხში, ნაციონალიზმის მიმართ ჩვენი დათმობა უკვე მოთავებულია, ერთ გოჯითაც ვერ დავიხევთ და არც დავიხევთ უკან.

ამიერ-კავკასიის პირობებში ერთა გათიშვა მიგვაჩნია პროლეტარული რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების დასამარებათ და გათიშვის მქადაგებელთ ჩვენი პარტია შეებრძოლება მშრომელ მუშებთან და გლეხებთან ერთად.

მ. ო.

—

შეცდომის გასწორება. გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ამხ. მ. ო. წერილში („საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი და ქართველი ფედერალისტები") შეპარულია კორექტურული შეცდომა, რომელიც ამახინჯებს აზრს. სწერია: „სწორუფლებიანობა სწორეთ მაშინ **შეიძლებოდა** თუ ასეთი წესი ოდესმე ფეხს მოიკიდებდა საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობაში" ხაზგასმული სიტყვის მაგიერ უნდა იყოს: „შეილახებოდა".

პრესა

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირისათვის

მოსკოვის „იზვესტია"-ში ამხ. სტეკლოვი ეხება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის საკითხს. ავტორი არჩევს მას ამ რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის თვალსაზრისით. ის სწერს:

„საქმე მდგომარეობს პირველ ყოვლისა **საბჭოთა მთლიანი ფრონტის განმტკიცებასა და დასრულებაში.** მართალია, საბჭოთა ასეთი მთლიანი ფრონტი არსებითად ყოველთვის იყო და ეს ფაქტი უდევს საფუძვლათ ჩვენ გამარჯვებებს და მიღწევებს. მაგრამ ის რომ უნდა იქნეს გაუკეთესებული, განვითარებული და დასრულებული—ამაში არავის ეჭვი არ შესდის, ამას გრძნობენ, ყველა ნაწილები საბჭოთა ფედერაციისა. **დაბოლოს ჩვენ ამას გვიკარნახებს ჩვენ წინააღმდეგ გაერთიანებული საერთაშორისო ბურჟუაზიული ფრონტი**, რომელიც ერთი წუთითაც არ სწყვეტს თავის მოქმედებას".

მომავალი კავშირის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების შესახებ ამხ. სტეკლოვი სწერს:

„საბჭოთა ადგილობრივი სიეზდები, ადგილობრივი ცენტრალური აღმასკომები და სახალხო კომისართა საბჭოები დარჩებიან. მაგრამ მათ გვერდით და იმათ მაღლა აღიმართება, როგორც აუცილებელი ზედნაშენი, საერთო ხელისუფლება საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ფედერაციისათვის. ეს ნიშნავს იმას, რომ ადგილი ექნება საბჭოთა ყრილობას, საერთო ფედერალურ ცენტრალურ აღმასკომს და ასეთსავე სახალხო კომისართა საბჭოს".

ავტორს ეჭვი არ შესდის იმაში, რომ

„რეაქციონური წვრილბურჟუაზიული ელემენტები, რომლებსაც დღემდე არ დაუხშვიათ თავი სეპარატისტული მიზნებისათვის და პოულობენ ამაში დახმარებას უცხოეთის იმპერიალიზმის მხრივ, გამოვლენ პროტესტით საბჭოთა რესპუბლიკების უფრო მჭიდროთ გაერთიანების წინააღმდეგ. ეს ელემენტები, ცხადია, გააჩაღებენ ადგილობრივ აგიტაციას განძრახული რეფორმის წინააღმდეგ. მაგრამ მათი ცდა დარჩება უშედეგოთ. მცხოვრებლები მალე დარწმუნდებიან, რომ **ფედერატიული შენობის დასრულება სრულიადაც არ შლის ცალკე რესპუბლიკების თავისებურებას და თანასწორობას.** ზრუნვა ადგილობრივ კულტურაზე, ადგილობრივ წესრიგის, ადგილობრივი სამეურნეო აღმშენებლობის მოწესრიგებაზე არა თუ არ მოიშლება ფედერალური კონსტიტუციის გაუკეთესებით, არამედ პირიქით შესაძლებელი შეიქნება მათი უფრო სწრაფი განვითარება. ამასთან ერთად განძრახული რეფორმა ცალკე რესპუბლიკების თანასწორობის უარყოფიდან კი არ გამოდის, არამედ, პირიქით მისი ცნობისაგან, რადგან განხორციელება მისი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ **ნებაყოფილებითი შეთანხმების ნიადაგზე".**

რადიო-დეპეშები

რაპალოს ხელშეკრულება

მოსკოვი. 9 ნოემბერი. რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიანმა წარმომადგენელმა ბერლინში კრესტინსკიმ და გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მალცმანმა ხელი მოაწერეს აქტს, რაპალოს ხელშეკრულების რ. ს. ფ. ს. რ. ს ყველა მოკავშირე რესპუბლიკებზე გავრცელების შესახებ.

კერზონის სიტყვა

კროიდონი. 9 ნოემბერი. დღეს ლორდ კერზონმა სიტის ამომრჩეველთა წინაშე წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელიც არის უმნიშვნელოვანესი ყველა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებიდან. ლორდ კერზონმა სთქვა: „საკონტრიბუციო და ახლო აღმოსავლეთის საკითხები შეიძლება გადასწყდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ინგლისი, საფრანგეთი და იტალია ლოიალურად იმოქმედებენ ერთმანეთის მიმართ. იყო დრო, როდესაც ინგლისი მიდიოდი იმავე გზით, რომლითაც ამ ჟამად მიდის ამერიკა, ე. ი. მოქმედებდა სხვა სახელმწიფოებისაგან განცალკევებულად. მაგრამ მომავალში ეს შეუძლებელია, ეს იქნებოდა ბრმების პოლიტიკა. ამიტომ მე ვიმეორებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირეებთან თანამშრომლობით თქვენ მიაღწევთ მშვიდობიანობას, ისე როგორც ახავე ერთსულოვნობით თქვენ მიაღწიეთ ომში გამარჯვებას". შემდეგ კერზონმა განაცხადა, რომ მას აღა სწამს ინტრიგების პოლიტიკა. მან სთქვა: ინგლისის ძლიერება, ყოველთვის მდგომარეობდა მის სიმტკიცეში, მთლიანობაში და სიმდიდრეში, ეხლა კი თუ ჩვენ გავითვალისწინებთ დღევანდელ მდგომარეობას, მაშინ რა მოხდებოდა თუ რომ უარყოფილი იქნებოდა ეს პრინციპები. მე რამდენიმე სიტყვით მინდა დაგიხატოთ ევროპის სურათი, თუ რას წარმოადგენს იგი ამ ჟამად. მასი სახე ეხლაც არ არის დაფარული უიმედო წყვდიადით, და ბედნიერად ვსთვლი თავს, რომ მე პირიქით ვხედავ, რომ ომის გათავების შემდეგ ბევრი ერები გამოცოცხლდენ, შეიმატეს გამბედაობა სწორედ ამ ომის გამო. ასეთია ჩეხო-სლოვაკია, სამხრეთ სლავია, პოლონეთი, ფინეთი და აღმოსავლეთის სახელმწიფოები. მეორეს მხრივ მე ვხედავ დიდ სახელმწიფოებს, რომელნიც ჩაცვივდენ უბედურებაში და ეს სახელმწიფოები იმყოფებიან ძალიან დიდ გაჭირვებაში. ავიღოთ ჩვენი ქვეყანა: ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა გაცილებით მტკიცეა, ვიდრე ომში მონაწილე რომელიმე სხვა სახელმწიფოსი, მაგრამ ამავე დროს ჩვენ მძიმე ტვირთად გვაწევს დიდი გადასახადები, რაც გავლენას ახდენს ცხოვრებაზე და მრეწველობაზე; ჩვენშიაც აუარებელი უმუშევრები არიან, რაც აუცილებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ამაში ჩვენ ვხედავთ გაუმჯობესების სიმპტომებს. გადავავლოთ თვალი საფრანგეთს: იგი ამ ჟამად შეშფოთებულია თავისი ვალებით და ვალის კონტრიბუციის. გერმანიაში პოლიტიკური წონასწორობა დარღვეულია და იგი განიცდის შინაურ კრიზისს მარკის კურსის დაცემის გამო. რუსეთი იმყოფება სახელმწიფოების ოჯახის გარეშე, რადგან მას არ შეუძლია საკუთარი თვალსაზრისით მიიღოს ის პირობები, რომლის მიღებაც მას მისცემდა საშუალებას შესულიყო ამ ოჯახში, რაც ესოდენ სასურველია. იგი შეყვარებულია კომუნიზმზე და დაჟინებით მოითხოვს კომუნიზმის დამყარებას ყველა ქვეყნებში. ავსტრია იხსნა სახელმწიფოების ჩარევამ იმ დროს, როდესაც ის დაღუპვის პირას იყო მიმდგარი. იტალია გახდა შინაურ გადატრიალების ასპარეზად და შეცვალა თავისი მთავრობა. ახლო აღმოსავლეთი ქაოტიურ მდგომარეობაში იმყოფება. იქ საქმე ძალიან ცუდადაა".

საჭიროა მიეცეს გერმანიას შესაძლებლობა მიაღწიოს წონასწორობას და დაიბრუნოს სხვა ერების პატივისცემა. ამიტომ ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით დაგვეშვა გერმანია ერთა ლიგაში, თუ ის მოისურვებდა ამას. მერა თქმა უნდა, არ ვიქნები მომხრე იმისა, რომ უარყოფილ იქნას გერმანიის სამართლიანი მოთხოვნილებანი და ვიქნები წინააღმდეგი იმისა, რომ საკონტრიბუციო საკითხი გადაწყვეტილ იქნეს არტილერიის საშუალებითა. ვინაიდან ეს საშუალება არავითარ შედეგს არ მიაღწევს." იტალიის და ინგლისის მეგობრობის ხსენების შემდეგ, ლორდ კერზონმა სთქვა, რომ ამ მეგობრულმა განწყობილებამ შეუწყო ხელი მოკავშირეებს ერთსულოვნად ემოქმედნათ ახლო-აღმოსავლეთის საკითხში.

აგრეთვე ინგლისის მთავრობა მოწადინებული იყო გამტკიცებინა ერთობა და მეგობრობა ამერიკასთან, რაც იყო ინგლისის პოლიტიკის პრინციპიალური და ტრადიციული საფუძველი, და რასაც უარს ვერ ეტყვის ვერც ერთი მთავრობა. ამის შესახებ კერზონმა სთქვა: „არ არსებობს აზრების და გრძნობების უფრო მჭიდრო ერთიანობა, ვიდრე ამერიკისა და ინგლისს შორის. ერთა ლიგის შესახებ ლორდ კერზონმა სთქვა, რომ, თუმც ლიგამ ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები მაგრამ, მან ბევრი შესანიშნავი საქმე გააკეთა და რამოდენიმე სერიოზული გადაწყვეტილებანი გამოიტანა. მან მიგვიყვანა საერთაშორისო ვალდებულობის ახალი შეფასებამდე და ამაშია მისი დამსახურება". შემდეგ კერზონმა სთქვა: „მე მუდამ იმის მომხრე ვიყავი, რომ მათვის, მას შემდეგ, რაც ჩვენ ოსმალეთი დავამარცხეთ, განსაზღვრულ პირობებში და ფარგლებში, სადაც ისინი ბინადრობენ, მიგვეცა საშუალება, რათა თვითონ განაგონ თავიანთი ბედი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფომ" ეს ერთად ერთი გზაა, რომლითაც ჩვენ შევძლებთ მშვიდობიანობის მიღწევას და რომელიც ეთანხმება დიდ სახელმწიფოების მოქმედებას". შემდეგ ლორდ კერზონმა მიუთითა იმაზე, რომ 1918 წ. მოკავშირე ჯარებმა მოახდინეს სტამბოლის ოკუპაცია, რაც იყო ერთად ერთი საშუალება წესრიგის დასაცავად და ამ შესანიშნავ ქალაქის განადგურებისაგან გადასარჩენად, და რომ ოკუპაციას ადგილი არ ქონოდა, მაშინ დაიწყებოდა პანიკა და ძალადობა.

„ეს მოვალეობა ჩვენ უნდა შევასრულოთ მანამ, სანამ დროებითი ზავი არ შეიცვლება მუდმივი ზავით. ამ ოკუპაციას ბოლო ეღება და იგი დამთავრდება ახალი საზავო ხელშეკრულების დადების დროს. უკანასკნელ ხანებში სტამბოლში ადგილი ქონდა დიდ მღელვარებას, ოსმალეთი უბრუნდება წაგლეჯის პოლიტიკას, ასეთი პოლიტიკა თვითმკვლელობას მოასწავებს იმ ერისათვის, რომელიც ომიდან გამარჯვებული გამოვიდა". ლორდ კერზონმა ოსმალეთის პრეტენზიებს უწოდა მოკავშირეთა შეურაცხყოფა და ევროპისადმი მუქარა და სთქვა: „ოსმალეთმა უნდა შეიგნოს, რომ დათმობასაც თავისი საზღვარი აქვს. ჩვენ არ შეგვიძლია დავდოთ საზავო ხელშეკრულება, რომელიც დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი იქნება ჩვენთვის. მან უნდა შეიგნოს, რომ ინგლისის და ევროპის ძლიერება არის ის კლდე, რომელზედაც ოსმალეთი სამუდამოდ გადაიჩეხება".

ახლო აღმოსავლეთის ამბები

საბჭოთა რუსეთის მილოცვა.

მოსკოვი. 8 ნოემბერი. ამხ. ჩიჩერინმა რუსეთის მთავრობის სახელით გაუგზავნა მისალმება ანგორის მთავრობას მონარქიის დამხობის და მთელი ძალაუფლების ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის ხელში გადასვლის გამო.

მოკავშირეთა ულტიმატუმი ოსმალეთისადმი

პარიზი. 8 ნოემბერი. გაზ. „პტი პარიზიენის" ცნობით მოკავშირეთა უმაღლესი კომისრები კონსტანტინოპოლში გადასცემენ დღეს იზზედ-ფაშას ულტიმატუმს, რომელშიაც მოკავშირეები მოითხოვენ ოსმალეთისაგან მუდანიის ხელშეკრულების დაცვას და აფრთხილებენ ოსმალეთის მთავრობას მოსალოდნელ საფრთხის შესახებ, თუ რომ ოსმალეთი განაგრძობს „მომხდარ ფაქტის" პოლიტიკის წარმოებას.

დოდეკანეზის საკითხი.

რომი. 8 ნოემბერი. გარეშე საქმეთა მინისტრმა გაგზავნა გუშინ ლონდონში პასუხი ინგლისის ნოტაზე დოდეკანეზის შესახებ. იტალიის ნოტა ადასტურებს მთავრობის თვალსაზრისს და მხარს უჭერს იმას, რომ გაუქმებულ იქნას იტალიის და საბერძნეთის შორის დადებული შეთანხმება დოდეკანეზის შესახებ.

სულთანის გაქცევის ხმების გამო.

რომი. 8 ნოემბერი. კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად, მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს სულთანს სასახლის დატოვების დროს. რეიტერის სააგენტო ადასტურებს, რომ სულთანი და მისი კაბინეტი იმყოფებიან კონსტანტინოპოლში.

კონფერენციის გადადება.

რომი. 8 ნოემბერი. ოსმალეთის გამოურკვეველ მდგომარეობის გამო, შესაძლებლად სთვლიან ლოზანის კონფერენციის გადადებას.

ოსმალეთის სენატის დახურვა.

რომი. 8 ნოემბერი. კონსტანტინოპოლში მყოფმა ანგორის გუბერნატორმა რეფიდ ფაშამ გამოსცა ბრძანება ოტომანის სენატის გაუქმების შესახებ.

საფრანგეთის პრესის აზრი.

პარიზი. 8 ნოემბერი. დღევანდელი გაზეთები ხაზს უსვამენ ახლო-აღმოსავლეთში მდგომარეობის გართულებას, ქემალისტების პოზიციის გამო.

გაზ. „ეკოიონ ფრანსე"-ი სწერს, რომ საფრანგეთის პოლიტიკა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რათა სამართლიანი და გაბედული რჩევით გონს მოიყვანოს ოსმალეთი და ხელი შეუშალოს კონსტანტინოპოლში მომხდარ უწესოებას. გაზ. „ლე ჟურნალი" იტყობინება, რომ პუანკარემ სალამოზე მიიღო ლორდ გარდინგი და შეატყობინა მას, რომ საფრანგეთის მთავრობა სრულიად არ არის თანახმა ლოზანის კონფერენციის დიდი ხნით გადადებისა, ვინაიდან გადადება კიდევ ახალ პრეტენზიებს აღუძრავს ოსმალეთსო.

ინგლისის პრესის აზრი.

კროიდონი. 8 ნოემბერი. ახლო-აღმოსავლეთის საკითხში მტკიცე და გაბედულ მოქმედების განზრახვა მოიწონა მთელი ევროპის პრესამ. საერთო აზრი გამოთქმულია გაზ. „ივნინგ სტანდარტში" მოწინავე წერილში, სადაც აღნიშნულია, რომ ბონარ ლოუს მხარს უჭერს მთელი ერი იმ ღონისძიებებში, რომლის მიღებასაც ის აპირობს ახალ მღელვარებათა თავიდან ასაცილებლად.

ხელახალი კრიზისი.

ჰანოვერი. 8 ნოემბერი. ახლო აღმოსავლეთის კრიზისი მწვავდება, ქემალისტების სამი მოთხოვნილებით: მოკავშირეების მიერ კონსტანტინოპოლის ევაკუაცია, სრუტეებზე ოსმალეთის კონტროლის დაწესება და ყველა რკინის გზების ანგორის მთავრობის ხელში გადაცემა. ლოზანის კონფერენციაზე ანგორის მთავრობას განზრახული აქვს წამოაყენოს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) საზღვრების გამორკვევა, ეროვნული აღთქმის თანახმად, 2) საბერძნეთის მიერ სამხედრო ხარჯების გადახდა, 3) კაპიტულაციის გაუქმება, 4) ირაკის საზღვრების შეცვლა და 5) ოსმალეთის სრული პოლიტიკური, ეკონომიური და ფინანსიური დამოუკიდებლობა.

კროიდონი. 8 ნოემბერი. კონსტანტინოპოლში მომხდარ უკანასკნელ ამბების და ქემალისტების მოთხოვნილების გამო ლონდონში დიდი მღელვარებაა. მდგომარეობას კრიტიკულად სთვლიან. კონსტანტინოპოლში გაიმართა მოკავშირეთა წარმომადგენლებისა და რეფიდ-ფაშას თათბირი, რომელსაც უკანასკნელს განუცხადეს, რომ მოკავშირეებს, რომელნიც სთვლიან თავს პასუხისმგებლად კანონიერების და წესრიგის დაცვაში, არ სურთ დასტოვონ კონსტანტინოპოლი, სანამ არ იქნება დადებული საზავო ხელშეკრულება.

მდგომარეობა იმდენად სერიოზულად ითვლება, რომ მოკავშირე გენერლებს ნება დართული აქვთ, საჭიროებისადა მიხედვით, გამოაცხა-

დონ საალყო წესები. დემონსტრაციის დროს კონსტანტინოპოლში ინგლისელ სალდათებს თავს დაესხნენ, 2 სალდათი დასჭრეს მალატიში, ხოლო სხვა აზიურ კვარტალებში.

ლონდონი. 8 ნოემბერი. ლონდონში მთელი ყურადღება მიქცეულია ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობას. ინგლისის უმაღლეს კომისარს, რომელიც მოქმედობს სხვა უმაღლეს კომისრებთან შეთანხმებით, მხარს დაუჭერენ მოკავშირეთა მთავრობები ყველა იმ ნაბიჯებში, რომლის გადადგმასაც ის დაინახავს საჭიროდ.

სულთანი.

ჰანოვერი. 7 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ სულთანმა მიმართა ინგლისის უმაღლეს კომისარს რუმბოლდტს თხოვნით დაცვის შესახებ. 6 ნოემბრიდან სულთანის სასახლეს იცავენ ინგლისის ჯარები.

ჰანოვერი 8 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, სულთანის გაქცევის განზრახვის შესახებ. მინისტრი კულტა გადადგა.

ახლო აღმოსავლეთის კრიზისის გამო.

ბერლინი. 8 ნოემბერი, საფრანგეთის წრეებში ფიქრობენ, რომ უმაღლეს კომისრებს უნდა მიენიჭოთ უფლებები, მიიღონ ყოველგვარი ზომები წესრიგის და ევროპიელების ინტერესების დასაცავად იმ რაიონებში, რომელიც უკავიათ მოკავშირეთაშორისო ჯარებს. აუცილებლად მიაჩნიათ დაუპირდაპირონ ოსმალეთს მოკავშირეთა მეგობრული, მაგრამ გაბედული პოზიცია.

პანიკა სულთანის წრეებში.

კაირო. 8 ნოემბ. კონსტანტინოპოლში გამართულმა დემონსტრაციამ უცხოელების წინააღმდეგ დიდი პანიკა დაბადა სულთანის წრეებში. რეფიტ-ფაშას ყავს თავის მხარეზე 5000 კაცი სულთანის გვარდიიდან, და აგრეთვე დიდ ძალი რეზერვები კონსტანტინოპოლის გარეთ, რომელთა შემადგენლობაში შედიან ქემალისტების ჯარები. ფრაკიაშიც სწარმოებს ჯარების გაცხოველებული შეგროვება. ფრაკიის ჟანდარმერია მიუახლოვდა ბრიტანეთის ხაზს ჩანაკთან, საფრანგეთის პრესა მოითხოვს რათა საფრანგეთის მთავრობამ აიძულოს ოსმალეთი დაიცვას მშვიდობიანობა. ინგლისის პრესა აცხადებს, რომ მოკავშირეებმა ყოველი ძალ-ღონით უნდა შეუშალონ ხელი ოსმალეთის მოძრაობას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე.

კონსტანტინოპოლის მთავრობის ბედი.

მოსკოვი. 8 ნოემბ. კონსტანტინოპოლის მთავრობა გადადგა. ქალაქის თავი და ჟანდარმერიის უფროსი რეფიდ-ფაშას წინადადებით განაგრძობენ თავიანთ თანამდებობის აღსრულებას, ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის სახელით. მოკავშირეთა გენერლებმა მოიწონეს რაფიდ ფაშას მოქმედება. მცხოვრებთა აღფრთოვანება დიდია. იმართება საზეიმო მანიფესტაციები. ახლო მომავალში მოელიან სულთანის გადადგომას.

ანატოლიის მრავალ ქალაქებში იმართება მანიფესტაციები სულთანის წინააღმდეგ.

ანგორის გამოჩენილი პოლიტიკოსები სულთანის ჩამოგდების აქტს სთვლიან რევოლიუციის დასაწყისათ.

გამოსთქვამენ რწმენას, რომ სულთანი დიდ წინააღმდეგობას არ გასწევს და დაემორჩილება ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის დადგენილებას.

კონსტანტინოპოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად გაიმართა საბჭოს სხდომა სულთანის თავმჯდომარეობით. განიხილეს ანგორის მთავრობის აქტი სულთანის ჩამოგდების შესახებ. დიდმა ვიზირმა ურჩია სულთანს არ გადადგეს და არ დაკარგოს უფლება საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერისა. მეორეს მხრივ იტყობინებიან, რომ სულთანმა გადასწყვიტა ხელი მოაწეროს თავის დადგენილებას 5 ნოემბერს.

ლოზანის კონფერენცია.

მოსკოვი. 8 ნოემბერი. დიდმა ეროვნულმა ყრილობამ გამოსთქვა აზრი, რომ ანგორის დელეგაციამ ლოზანაში არ უნდა დასთმოს ოსმალების მიერ დასახლებული არც ერთი ტკაველი მიწა და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას უცხოელების ოსმალეთის ფინანსებში ჩარევა და კაპიტალიაციის რეჟიმის აღდგენა. საჭიროა გასწორებულ იქნეს სამხრეთის საზღვრები სირიასთან, და შემოერთებულ იქნეს ოსმალეთთან ანტიოხია, არქიპელაგიას კუნძულები და აგრეთვე მოსული.

ანგორის მთავრობამ არ გასცა პასუხი კონსტანტინოპოლის მთავრობის წინადადებაზე, რომელშიაც კონსტანტინოპოლის მთავრობა ურჩევს ანგორის მთავრობას დაიჭიროს შემარიგებელი პოზიცია ახლო აღმოსავლეთის კონფერენციაზე

ანგორის მთავრობამ უკვე შეადგინა დელეგაცია ლოზანის კონფერენციაზე გასაგზავნათ. დელეგაციაში შევა 22 კაცი ისმედ ფაშას თავმჯდომარეობით.

მოკავშირეები და კონსტანტინოპოლი.

მოსკოვი. 8 ნოემბერი. ანგორის მთავრობამ გაგზავნა მაშინვე პირველი ნოტა ანტანტის წარმომადგენლებისათვის გადასაცემად. ნოტა წინადადებას აძლევს მოკავშირეებს მოახდინონ კონსტანტინოპოლის ევაკუაცია სულთანის მთავრობის გადადგომის გამო და კონსტანტინოპოლში ძალაუფლების ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის ხელში გადასვლის შემდეგ. ამასთანავე ანგორა აძლევს გარანტიას, რომ იგი არ შეეხება ნეიტრალურ ზონას.

ფრაკიაში.

მოსკოვი. 8 ნოემბერი. ბრიტანეთის უმაღლეს კომისარს კონსტანტინოპოლში წინადადება მიეცა გამოიძიოს ცნობა, ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ ფრაკიაში 2 დივიზიის მობილიზაციის შესახებ. ამის გამო, გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: „საფრანგეთის მთავრობამ, როგორც სჩანს გაიგო, რომ არ შეიძლება ქემალისტებს მიეცეთ ნება ბორიტად გამოიყენონ თავიანთი გამარჯვება საფრანგეთის ზოგიერთი წრეებში გამოსთქვამენ შეშფოთებას ქემალისტების აღმოსავლეთ ფრაკიაში დაშვების შესახებ. ქემალისტების მიერ მუდანიის ხელშეკრულების დარღვევის გამო დაყენებული იქნება საკითხი ფრაკიის ნეიტრალიზაციის ავტონომიის შესახებ“.

ჩანაკთან

ჰანოვერი. 9 ნოემბ. ჩანაკში მდგომარეობა კრიტიკულია, ვინაიდან ოსმალეთის ჟანდარმერიამ გადალახა ინგლისელების ხაზი.

სულთანი.

ლონდონი. 9 ნოემბერი. სხვა და სხვა ადგილებიდან და კალკუტის ხედივატის სახელით იტყობინებიან სულთანის გადაწყვეტილებას ინდოეთში გამგზავრების შესახებ, მაგრამ ამ გამგზავრებას არავითარი შედეგი არ ექნება, ვინაიდან მთელი ქვეყნის მუსულმანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის არ არსებობს ერთგვარი შეხედულება ახლო აღმოსავლეთის ამბებზე და სულთანს შეუძლია მოელოდეს სულ სხვაგვარი შეხვედრა, ვინემ ის ფიქრობს.

ჰანოვერი, 9 ნოემბ. სულთანი ამ ჟამად ინგლისის სამხედრო გემზე იმყოფება.

ინგლისის მფარველობის ქვეშ.

ჰანოვერი. 9 ნოემბერი. რეიტერის სააგენტო იტყობინება, რომ კონსტანტინოპოლში შეიხ ულ ისლამი და ბევრი სხვებიც ეძებენ მფარველობას ინგლისის წარმომადგენლობასთან.

კონსტანტინოპოლში.

ჰანოვერი. 9 ნოემბ. კონსტანტინეპოლის მდგომარეობა ისევ სერიოზული რჩება. მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა მიიღეს თავიანთ მთავრობისაგან რწმუნება, რომლის ძალით მათ უფლება ეძლევათ თუ ამას საჭიროება მოითხოვს გამოაცხადონ საალყო წესები. გუბერნატორმა რეფეც ფაშამ თავის ნოტაში მოითხოვა კონსტანტინეპოლიდან ინგლისის ყველა ქვეშევრდომთა ევაკუაცია.

კონფერენციის მოწვევის გამო.

ჰანოვერი. 9 ნოემბერი. ინგლისის მიმართვა საფრანგეთისადმი ლოზანის კონფერენციის 27 ნოემბრისათვის გადადების შესახებ პუანკარეს მიერ უარყოფილ იქნა, კონსტანტინეპოლში არსებულ გამოურკვეველ მდგომარეობის გამო, რომელიც კონფერენციის მოწვევის გადადებას შეუძლებლად ხდის. საფრანგეთის მთავრობის ეს თვალსაზრისი გადასცა ინგლისის წარმომადგენელმა თავის მთავრობას.

სხვადასხვა ამბები

გერმანია.

კომუნისტების გამარჯვება.

მოსკოვი. 9 ნოემბერი. საქსონიის ლანდტაგის არჩევნების დროს კომუნისტებმა მიიღეს 100,000-მდე ახალი ხმები.

გერმანიის მარკა.

მოსკოვი. 9 ნოემბერი გერმანიის მარკა ისევ დაეცა. დოლარი ღირს 5,500 მარკა.

იტალია.

დანუნციო.

მოსკოვი. 9 ნოემბერი. რომიდან იტყობინებიან, რომ დანუნციოს ლეგიონერები, ადგილობრივი ფაშისტების და ნაციონალისტების დახმარებით ამზადებენ ახალ გადატრიალებას ფიუმეში მისი იტალიასთან შემოსაერთებლად.

მუსოლინის განცხადება.

მოსკოვი 8 ნოემბერი. მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მუსოლინიმ აღნიშნა, რომ იტალიაში მშვიდობიანობა დამყარდა, და განაცხადა, რომ თავის მხრივ ის შინაურ პოლიტიკაში შეეცდება ეროვნულ დისციპლინის და წესრიგის აღდგენას ის საქმით დაამტკიცებს რომ დაუშვებელია სახელმწიფოში სახელმწიფოს არსებობა. საგარეო პოლიტიკის შესახებ მუსოლინიმ განაცხადა, რომ შიში, თითქოს ფაშისტების ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ, საერთაშორისო მდგომარეობა გართულდებოდა უსაფუძვლო გამოდგა. ამას საუკეთესოთ ამტკიცებს ის, რომ ბირჟაზე ფულის კურსმა აიწია.

ფაშისტების მოქმედება.

მოსკოვი 8 ნოემბერი. გაზ. „მესაჯეროს“ ცნობებით რომში ფაშისტებმა გაანადგურეს ყველა სოციალისტური და კომუნისტური კლუბები. შეტაკების დროს 3 კაცი მძიმედ დაიჭრა.

საბერძნეთი

მოსკოვი. 8 ნოემბერი. ათინიდან მიღებულ ცნობების თანახმად ყოფილი მეფე კონსტანტინე სამართალში იქნება მიცემული, როგორც დამნაშავე მცირე აზიის კატასტროფაში. იმ შემთხვევაში თუ ის უარს იტყვის სასამართლოს წინაშე გამოცხადებაზე, საქმეს განიხილავენ მის დაუსწრებლად განსაკუთრებულ სამხედრო ტრიბუნალში.

ინგლისი

ინგლისი და საფრანგეთი.

მოსკოვი 8 ნოემბერი. ბონარლოუმ განაცხადა, რომ საკითხი ინგლის საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ, არის მთელი საგარეო პოლიტიკის მასალები. თუ ინგლისი ვერ შეუთანხმდა საფრანგეთს, ევროპაში ქაოსი გამეფდება, რომლის შედეგება საშინელი იქნება.

სპარსეთი

ერევანი. 6 ნოემბერი საბჭოთა სომხეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სპარსეთში ამხ. სარქისიანმა აცნობა „არმენტა“-ის თანამშრომელს, რომ სპარსეთის პოლიტიკური მდგომარეობა რჩება უცვლელად, სპარსეთის მთავრობა კვლავინდებურად იძულებულია თავისი პოლიტიკაში აწარმოვოს არჩევანი ინგლისის და რუსეთის შორის. სპარსეთი დიდი სიმპატიებით ეპყრობა ოსმალეთის გამარჯვებას. ადგილი აქვს აგრეთვე პანისლამისტურ ტენდენციებს. მცხოვრებთა ღარიბი ნაწილი და ზოგიერთი ბეჭდვითი ორგანოების სიმპატიები საბჭოთა რუსეთის მხარეზეა, ხოლო ფეოდალები და მმართველი წრეები მომხრენი არიან ინგლისის. გლეხობა იმყოფებიან მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში. სპარსეთის მთავრობა და თვით ხალხიც დიდი სიმპატიით უცქერის სომხობას. სომხების რიცხვი აღწევს 70,000.

ბიულეტენების საშუალებით, რომელსაც უშვებს მისია, სომხობის შორის დღითი დღე მატულობს თანაგრძნობა საბჭოთა სომხეთისადმი. დაშნაკები ცდილობენ გაავრცელონ ყალბი პროვოკაციული ცნობები, მაგრამ მიუხედავად მათი ცდისა ვერავითარ შედეგს ვერ აღწევს. ლტოლვილ სომხების რიცხვი სპარსეთში უდრის 2.700 კაცს. მათ სურთ სომხეთში დაბრუნება. კომპარტიას ლეგალური მუშაობა არ შეუძლია. მთავრობის დამოკიდებულება მისდამი სიმპატიურია. ის მზად არის დასდოს მეგობრული ხელშეკრულება სომხეთთან

შორეულ აღმოსავლეთი

გაფიცვები ჩინეთში

მოსკოვი. 8 ნოემბერი. ხაილარის გაფიცვას დიდი თანაგრძნობით ხვდებიან. ჩინეთის სალდათებმა უარი სთქვეს მუშების მიღებაზე და ემუქრებიან ინგლისის სიპაიებს და პოლიციას, რომელნიც მაღაროებს იცავენ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კომინტერნის კონგრესის წევრთა ჩასვლა მოსკოვში

მოსკოვი, 9 ნოემბერი. 7 ნოემბერს დილით პეტროგრადიდან მოსკოვში ჩამოვიდნენ კომინტერნის კონგრესის წევრები, რომელთაც ზეიმით შეხვდა რუსეთის კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის. რაიონული კომიტეტების, ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების დელეგაციები და აგრეთვე მე 40 სანიმუშო პოლკის საპატიო ყარაული მუსიკით და დროშებით.

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის კომპარტიის კონფერენცია.

გაიხსნა აზერბეიჯანის კომპარტიის კონფერენცია პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. კიროვის მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ. მოხსენების გამო ერთხმად მიღებული რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმებიან სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნას და მოითხოვენ მის დაუყონებლივ პრაქტიკულ განხორციელებას.

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაული

რუსეთში

მოსკოვი

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის წინა დღეებში.

მოსკოვი. 9 ნოემბერი. დღესასწაულის წინა დღეებში მოსკოვის სხვა და სხვა რაიონებში მოწყობილ იქნა მოხსენებები ოქტომბრის გადატრიალების ისტორიიდან. „ნამგალი და ჩაქუჩი“-ს ქარხანაში შესდგა საზეიმო კრება, რომელსაც დაესწრო 2,000 კაცი. მოხსენება გააკეთა ამხ. კალინინმა. მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც სალამს უძღვნის კომინტერნის კონგრესს. ქარხნის მუშებმა ჩამოასხეს მარქსის და ენგელსის ბიუსტი ლენინისათვის საჩუქრად.

მოსკოვი. 9 ნოემბ. 7 ნოემბერს მთელმა მოსკოვმა განსაკუთრებული საზეიმო სახე მიიღო. ყველა შენობები მორთულია დროშებით, ხალიჩებით და მწვანეულით. ქუჩებში დილიდანვე სწარმოებს სვლა მუშათა, მუშა ქალთა, წითელ არმიელთა და ბავშვთა მწკრივებისა. ასი ათასობით დემონსტრანტების რიგებს ზევით ღელავს დროშების და ბაირაღების მთელი ტყე. დემონსტრანტები თავს იყრიან იპოდრომის მოედანზე, სადაც ტრიბუნაზე ალლუმს ღებენ სახ. კომისართა და სრულ. რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის წევრები, კომპარტიის და სამხედრო სარდლობის წარმომადგენელნი და შრომის გმირები, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან „შრომის წითელი დროშის“ ორდენით.

დღესასწაული მიმდინარეობს არაჩვეულებრივის ენტუზიაზმით და მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით სჭარბობს ყველა ყოფილ რევოლიუციონურ დღესასწაულებს.

— 7 ნოემბერს დილიდანვე მოსკოვის რაიონებში თავს იყრის დემონსტრაციაში მონაწილეთა აუარებელი ჯგუფები. მუშათა რაზმები, სხვადასხვაგვარ იარაღის ჯარის ნაწილები და ბავშვები ავტომობილებზე მიიმართებიან წითელი მოედნისაკენ, სადაც შეკრებილი არიან კომინტერნის კონგრესის დელეგატები, სახ. კომისართა და სრულ. რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის წევრები, მოსკოვის და სარაიონო საბჭოების წევრები და სხ. წითელი მოედანი, წარსულ წლებთან შედარებით ნაკლებათ არის მორთული დროშებით და ლოზუნგებით სხვადასხვა ენებზე. კრემლის კედელზე აღმართულია ქანდაკება, რომელიც გამოხატავს გრდემლთან მდგომ მუშას ქუდით ხელში, რომელიც ესალმება დემონსტრანტებს. 11 საათისათვის მოედანზე ჩამწკრივებული იყო სამხედრო ნაწილები. ერთ ლოჟას იჭერს დიპლომატიური კორპუსი.

— 7 ნოემბერს წითელ მოედანზე შესდგა ჯარების ალლუმი. დღე მშვენიერი იყო. სრულს 11 საათზე მოედანზე მოვიდა ამხ. ტროცკი, რომელმაც დაუარა კომინტერნის წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვაგვარი იარაღის ჯარებს, რომელიც გამწკრივებული იყო მოედანზე მჭიდრო რიგებით, მშვენივრად შეიარაღებული და ჩაცმულ დახურული. მოკლე სიტყვაში, რომელიც გარკვევით ისმოდა მოედნის ყველა კუთხეებში, ტროცკიმ მიმართა წითელ არმიას და ფლოტს, რუსეთის მშრომელთ, კონგრესის დელეგატებს—ევროპის, აღმოსავლეთის, ამერიკის, ავსტრალიის და აფრიკის 50 სახელმწიფოთა წარმომადგენლებს.

„კაპიტალისტური ქვეყანა სთქვა ამხ. ტროცკიმ ჩვენ არ გვცნობს, დიდ სახელმწიფოთა შორის ერთმა დაჩაგრულმა გერმანიამ გვიცნო ჩვენ სავსებით. გენუაში ლოიდ ჯორჯმა სთქვა: „ჯერ ჩვენ მოგვეცით საშუალება გაგიცნოთ რანაირი მგზავრები ხართ თქვენ და შემდეგ შეიძლება მივიღოთ ჩვენს გემზე“. გავიდა რამოდენიმე თვე, ლოიდ ჯორჯი დამარცხდა და გადავარდა გემის ნაპირიდან, ჩვენ კი ვსდგევართ ჩვენს ძველ ადგილზე, ჩვენს პროლეტარულ კუნძულზე. დღე კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგენლები მოვიდნენ წითელ მოედანზე, რათა დაათვალიერონ ჩვენი ძალა, რომელიც არასოდეს არ იყო ისე დიდი, როგორც ამ ჟამად. წითელ არმიას უნახავს ბევრი გამარჯვება, მაგრამ ჩვენ მზადა ვართ შევამციროთ იგი ათჯერ, თუ შემცირებაზე დაგვეთანხმებიან ჩვენი მეზობლები კონფერენციაზე განიარღების საკითხის შესახებ, რომელიც მოწვეულ იქნება ამ თვის დამლევს.

ჩვენ მზადა ვართ შევამციროთ არმია და განთავისუფლებული ძალა გადავაგზავნოთ სამეურნეო ფრონტზე. მსოფლიო მუშათა კლასის წარმომადგენელნი ხედავენ დღეს ჩვენს ძალას—ჩვენი ხუთი წლის მუშაობის ნაყოფს. ჩვენ მომთმენი ვართ, ჩვენ გვესმის კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა ბრძოლის სიძნელე.

ჩვენ წინანდებურად ვიმუშავებთ, შეიძლება მრავალ წელიწადს, მაგრამ შეუსწრებით მუშათა კლასის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში. მიმდინარე წელს მოსკოვი თოვლით ადრე დაიფარა. 5 წლის თავის დღესასწაულის დღისათვის თოვლი გადნა და წითელ მოედანზე მზის სხივები გამობრწყინდა. საბჭოთა რესპუბლიკის მუშები და გლეხები, მთელი ქვეყნის მოწინავე მუშები ბრძოლით და მჭიდრო შეკავშირებით მიაღწევენ იმას, რომ მთელს მსოფლიოში ამობრწყინდება მზე ნამდვილი ძმობის, თავისუფლების და კულტურისა“.

მისალმები სიტყვები წარმოსთქვეს კომპარტიების წარმომადგენლებმა ბოლგარიის—კოლაროვმა, საფრანგეთის—ანრიემ და იაპონიის—კატაიაგამ.

ჯარების და მანიფესტანტების მწკრივების სვლა დამთავრდა საღამოს 6 საათზე.

სიტყვების შემდეგ მუსიკის ხმაზე ფოლადისებური მწკრივებით გაიარეს სამხედრო ნაწილებმა, მათ რიცხვში არტილერია, რომელიც მოძრაობს მექანიკურის ძალით, მუშათა ფაკულტეტის მსმენელები, საერთო სამხედრო სწავლებაზე გაწვეულნი, მუშათა ორგანიზაციები და ბავშვები. სხვა და სხვა ქარხნების მუშები გამოვიდნენ დემონსტრაციაში თავისი წარმოების ემბლემით.

ყველაზე უფრო ყურადღებას იქცევდა სატორფო დიდი მანქანა ყოფილი მიხელსონის ქარხნის მუშებისა, რომელსაც ამ ჟამად გადარქმეული აქვს „ვლადიმირ ილიჩი“, მოდელი დრედნოუტის და ნაღმოსანისა, რომლის ნაპირზე ჩამწკრივებულია კომანდა, დიდი კალოში „ბოგატირის“ ქარხნისა ლოიდ ჯორჯის და პუანკარეს კარიკატურებით, მეზღვაურთა ავტომობილი შანდალით წარწერით „გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი“. საერთო სიცილს იწვევს ჯგუფი, რომელიც გამოხატავს მეორე ინტერნაციონალს, გველვეშაპი, რომელზედაც ზის ნეპმანი სიგარით.

აზერბეიჯანში

ბაქო

ბაქო. 8 ნოემბერი ბაქოში ოქტომბრის დღესასწაული დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა. ზეიმი გაიხსნა 6 ნოემბერს „მოგონებათა საღამოებით“, რომელსაც დაესწრო არა ნაკლები 50.000 კაცისა.

ოპერის დარბაზში შესდგა სტუდენტთა საერთო კრება, სადაც ამხ. კიროვმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „ოქტომბერი და ინტელიგენცია“. დარბაზი ავსებული იყო სტუდენტებით, რომლებმა დიდი ოვაცია გაუმართეს მომხსენებელს და აღუთქვეს მთელი თვისი ცოდნა და ენერგია მოახმარონ რევოლიუციის სამსახურს. 7 ნოემბერს გაიმართა გრანდიოზული მანიფესტაცია დროშებით და მიტინგებით, რომელშიდაც მონაწილეობას იღებდენ ორგანიზაციულად დარაზმულნი მუშები, ჯარი და მეზღვაურნი. პროცესიაში მონაწილეობას იღებდა სტუდენტობა რიცხვით 5.000 კაცი და აგრეთვე მუსულმან ქალების კოლონა. სულ პროცესიაში მონაწილეობას იღებდა 100,000 კაცი. 3000 მოსწავლეთა ცალკე ალლუმი მიიღო აზერბეიჯანის რესპუბლიკის განათლების კომისარმა მთელი ქალაქი მორთული იყო.

გახსნილ იქნა მუსულმანთა სახალხო პოეტის საბირის ძეგლი. ქუჩები გავსებულია ხალხით, ყველგან ეროვნული ცეკვა, სიმღერები და მუსიკა. საღამოს მოხდა ორი ახალი კლუბის გახსნა. ქალაქი განათებული იყო ილლუმინაციით, პროჟექტორებით და მაშხალებით. ყველა თეატრები, კლუბები, კინოები, ცირკი—გავსებულია ხალხით. მთელი ზეიმი იშვიათი წესრიგით და ორგანიზაციულათ იქნა ჩატარებული.

საქართველოში

თბილისი

წითელ ჯარში.

ოქტომბრის რევოლიუციის სახელობის არმიელთა ცენტრალური კლუბის კაპიტალურ შეკეთების შემდეგ მრავალრიცხოვან არმიელთა თანადასწრებით გაიხსნა 6 ნოემბერს. სადღესასწაულო საღამო გახსნა პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. გოზეჯიშვილმა, რომელმაც მიულოცა დამსწრეთ ეს დიდი დღესასწაული.

შემდეგ ამხ. ოკუჯავამ წარმოსთქვა სიტყვა შემდეგ თემაზე „ოქტომბრის რევოლიუციის ხუთი წლის თავი“. ამხ. ოკუჯავა ვრცლად შეჩერდა ოქტომბრის რევოლიუციის ისტორია და მნიშვნელობაზე. აგრეთვე აღნიშნა ის დადებითი მხარენი მუშაობისა, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა მთავრობამ ამ ხუთი წლის განმავლობაში. ოკუჯავას სიტყვის შემდეგ ორკესტრმა შეასრულა „ჰიმნი“ ინტერნაციონალი.

მიტინგის შემდეგ გაიმართა ოქტომბრის რევოლიუციის „გასამართლება“ დამნაშავეთა სკამზე სხედან: მუშა, გლეხი და მეზღვაური.

მოწმენი ბრალდების მხრივ: კონცესიონერი, ვაჭარი, სინოდის წევრი—არხიმანდრიტი და ესერი; დამცველთა მხრივ—კომუნისტი.

დამნაშავეთ აბრალებენ ცარცვა-გლეჯას, რევოლიუციის უდროოდ მოხდენას, იუნკრების და ოფიცრების დახვრეტას, მრეწველობა-ვაჭრობის დაცემას და სხვა.

ბრალმდებლისა და დამცველთა სიტყვების შემდეგ სასამართლომ გამოიტანა შემდეგი განაჩენი:

„ოქტომბრის რევოლიუცია გამართლებულ იქმნას“.

სამართლიანმა განაჩენმა დიდი აღტაცება გამოიწვია არმიელებში.

7 ნოემბერს კვლავ გაიმართა სადღესასწაულო საღამო. „კომინტერნის მეოთხე კონგრესის“ შესახებ სიტყვას ამბობს ამხ. მარქაროვი, რომელმაც გარკვევით აუხსნა არმიელთ კონგრესის დიდი მნიშვნელობა. შემდეგ ადგილობრივ ძალების მიერ ამხ. დ. კობახიძის რეჟისორობით წარმოდგენილ იქმნა კომუნისტური პიესა „ქარიშხლის [illegible]“. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა საინტერესო კონცერტი. საღამო დასრულდა ცოცხალი სურათით.

დივიზიის მთავარ გოსპიტალთანაც გაიხსნა ამ დღისათვის არმიელთა კლუბი. მიტინგი გახსნა სამხკომმა ამხ. ფირაძემ. შემდეგ სიტყვები მომენტზე წარმოსთქვეს ამხანაგებმა: გოგიტიძემ, კიკალეიშვილმა და სხვ.

მიტინგის შემდეგ დაიდგა „კომუნიზმის კოშკში“.

ქარ.—იმერ.

სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა პირველი ყრილობა*)

(პირველი სხდომის გაგრძელება).

1922 წლის 31 ოქტომბერს დილის 11ნახ საათი.

ამხ. გრიგორიანი აკეთებს ვრცელ მოხსენებას საქართველოს სტატისტიკის ისტორიის შესახებ.

ყოფს რა სტატისტიკის ისტორიას სამ პერიოდად, აღნიშნავს, რომ წმინდა სახელმწიფოებრივი სახის სტატისტიკის ისტორია იწყება 1920 წლის დეკემბრიდან, როდესაც მომწიფდა აზრი სახელმწიფო სტატისტიკის მტკიცე ნიადაგზე დაყრდნობისა. აღნიშნულ დრომდე სტატისტიკას კერძო ხასიათი ქონდა და მისი მოღვაწეობა ადმინისტრატიულ ან საუწყებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით ამოიწურებოდა.

1920 წლის დეკემბერში მომწიფებულ აზრმა სტატისტიკას დამოუკიდებელ სახის გამოკვეთის შესახებ თანაგრძნობა მოიპოვა საქართველოს სოვეტიზაციის შემდეგ, როდესაც დაარსდა ცალკე ორგანო სახელმწიფო სტატისტიკისა სრულიად საქართველოს სტატისტიკის სამმართველოს სახით და კანონმდებლობის გზით დადასტურებულ იქნა მისი დებულებაც.

ამ დროიდან იწყება საქართველოს სტატისტიკის მეცნიერული კვლევა-ძიებაც.

დეტალურად აღნიშნავს რა მომხსენებელი ყველა იმ მიღწევებს, რომლის ცხადყოფა შესძლო საქართველოს სტატისტიკის ცენტრალ სამმართველომ ამ 1 ნახ. წლის განმავლობაში, დაასკვნის, რომ არის უამრავი დეფექტები, არის ბევრი შეცდომები, მაგრამ ეს გამოწვეულია არა სტატისტიკის შემოქმედ ძალთა უძლურებით—არამედ იმ ობიექტიურ პირობებით, რომელშიაც უხდებოდა სამმართველოს ფრიად სერიოზულ საქმის მოგვარება.

მთავარი მიზეზები დაბრკოლებათა გამოიხატებოდა ფულის უქონლობაში ერთის მხრით და მეორის მხრივ იმ ფსიქოლოგიური მომენტით, რომელიც თანსდევს ყოველ ახალ დაწყებას, ყოველ ახალ საქმეს.

დასასრულ მომხსენებელი გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ საბჭოთა ხელისუფლება გაიღებს მეტ თანხას სტატისტიკის მოგვარებისათვის და აგრეთვე ყოველი შეგნებული პიროვნება, რომელსაც სურვილი აქვს ფართე მასის დახმარებისა ჩადგება სტატისტიკის მომუშავეთა რიგებში და ამით ყოველგვარი დაბრკოლებაც გადალახული იქნება.

მოხსენების მოსმენის შემდეგ მომხსენებელს მიმართავს ყრილობა სხვა და სხვა შეკითხვებით. ამხ. გრიგორიანი უპასუხებს ყველა შემკითხველთ, რის შემდეგ იხსნება კამათი თვით მოხსენების შესახებ.

ამხ. გარძიელი (თბ. სამაზრო სტატ. ბიუროს გამგე) აღნიშნავს, რომ თუ საერთოდ მოხსენება მისაღებია და დადებითი, ზოგიერთ განყოფილებათა მოქმედების შესახებ იგივე აღარ გვეთქმის. არ ვარ კმაყოფილი ამბობს ამხ. გარძიელი სასოფლო სამეურნეო სტატისტიკით, რომელსაც არ აქვს გამორკვეული არც რიცხვი და არც განაწილება საქონლისა კუთხობრივ, რომლის აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოსათვის. დასასრულ ოპონენტი აღნიშნავს, რომ სამმართველოს ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია კურორტების აღრიცხვისათვის, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გასწორებული მომავალში.

კარბელაშვილი (კოლეგიის წევრი) ამბობს, რომ საჭიროა ყოველ მოხსენების, მეტადრე სტატისტიკის დარგიდან გაკეთებულ მოხსენების მოსმენის დროს, ორი მდგომარეობისათვის ხაზის გასმა, ერთი მომენტია იდეურ-პროგრამული, ხოლო მეორე ორგანიზაციის შექმნის მომენტი. ეხება რა ვრცლად პირველ მომენტს, სახელდობრ იდეურ პროგრამულ მხარეს მოხსენებისას, ის აღნიშნავს ამ მხრივ სამმართველოს უდიდეს გამარჯვებებს. სამმართველომ ამ მხრივ, ამბობს კარბელაშვილი, მაქსიმუმს მიაღწია და ეს უდიდეს გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო სტატისტიკის ისტორიაში.

ამასვე ვეღარ ვიტყვით,—ამბობს ოპონენტი,—ორგანიზაციულ მხარეზე. ამ სფეროში არის შეცდომები, რომელიც უნდა აღინუსხოს რელიეფურად, რომ მომავალში თავი დავაღწიოთ შეცდომებს და უდეფექტოდ მოვაწყოთ სტატ-ორგანიზაციების საქმე.

დასასრულ ჩამოსთვლის რა დეფექტებს, აღნიშნავს რომ სამმართველომ ა) უნდა გამონახოს საერთო ენა საუწყებო სტატისტიკის წარმომადგენლებთან, რომ ამით აშორებულ იქნას ენერგიის დაუზოგველობა და პარალელიზმი მუშაობაში; ბ) უნდა მოახდინოს სადანადო განრიგება განყოფილებების აღსარიცხავი სფეროს განყოფილებათა შორის თანაბრად განაწილების სახით; გ) სისრულეში უნდა მოყვანილ იქნეს სტატისტიკოსთა კონფერენციის მიერ შემუშავებული დადგენილება სახელმწიფო ენის შესახებ და დ) ადგილობრივ ორგანიზაციების სათანადო სიმაღლემდე ასაყვანად საჭიროა ეკონომიურად უზრუნველყოფა და გადახალისება სტატ ორგანოთა ხელმძღვანელების. ამისათვის საჭიროა სამმართველომ მოაწყოს ხშირი მივლინებები უფროს ამხანაგებისა ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ხშირი ყრილობები, კონფერენციები და სხვ.

რუხაძე (თბ. ქალაქის სტატ ბიუროს გამგე) აღნიშნავს, რომ სამმართველო სდგას თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. მხოლოდ დეფექტები თუ არის, ეს უფულობით არის გამოწვეული და ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მთავრობას ხშირ ხშირად მოვაგონოთ ამის შესახებ. აღნიშნავს აგრეთვე, რომ საჭიროა სტატ-ორგანიზაციები, როგორც იდეიურად ისე ეკონომიურად ექვემდებარებოდეს სამმართველოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ზოგიერთ კუთხეში სრულიად მოისპოს სტატ-ორგანიზაციები ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოების ინდიფერენტიზმის გამო.

ამხ. რუხაძის სიტყვის შემდეგ, თანახმად შემუშავებულ რეგლამენტისა, სხდომა იხურება დღის 3 საათზე.

შ. კალ—ი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „კომუნისტის“ № 257.

წითელ ჯარში

ქართულ შეერთებულ სამხედრო კურსანტთა სკოლის მუშაობა მცხოვრებთა შორის კარვობის დროს.

სკოლამ საკარვოდ ამოირჩია ყოფილი იუნკერთა სასწავლებლის ბანაკი სოფ. ჯუმათელეთში სურამის ახლო, სადაც ჩამოვიდა ტფილისიდან და დაბანაკდა 26 ივლისს. თავიდანვე ჩვენ განზრახული გვქონდა მოგვეწყო მცხოვრებთა შორის პოლიტიკური მუშაობა, რომლითაც დაუმტკიცებდით მათ განსხვავებას ძველ იუნკერთა და ახალ კურსანტთა შორის. უწინარეს ყოვლისა ჩვენ შევეცადეთ მოგვეწყო პატარა საექიმო პუნქტი, რომელიც ივლისის პირველ რიცხვებში უკვე მზად იყო,აქ ყოველ დილით სკოლის ექიმი და ფერშლები უსასყიდლოთ ღებულობდენ ავადმყოფებს და აძლევდენ სათანადო რჩევა დარიგებას, აგრეთვე შეძლებისამებრ მათ ეძლეოდათ დახმარება მედიკამენტებითაც. 5 ივლისიდან 8 სექტემბრამდე საექიმო პუნქტში გაიარა 150 ზე მეტმა ავადმყოფმა. აგრეთვე ვეტერინარი ფერშალი ახლო მახლო მცხოვრებთ უწევდა დახმარებას საქონლის ჭირის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა დადებითი შედეგებს ვერ ვაღწევდით ასაცრელ შრატის უქონლობის გამო.

ჩვენ მიერ სოფ ჯუმათელეთშივე მოწყობილ იქნა სამკითხველო მცხოვრებთათვის, რომელსაც სკოლა შე-

საშურსათო გადასახადის კამპანია

სულ რამდენია აკრეფილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს ათს მაზრაში, სადაც წლევანდელ სასურსათო გადასახადის აკრეფა სწარმოებს, ნოემბრის 9-სთვის ხორბლეულის ერთეულით შეგროვილია 549.556 ფუთი, ანუ 95,6 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

ისამებრ აწყდიდა ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს. სამკითხველოს მკითხველები ყოველ დღიურად აღწევდა 15-დან 25 კაცამდე.

რნახულის აღების დროს სკოლამ აღმოუჩინა დახმარება ადგილობრივ მცხოვრებლებს და 300 კაცი ერთი დღის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ ეხმარებოდენ ადგილობრივ გლეხკაცებს, რითაც მათ დაიმსახურეს მათი სრული სიმპატია და ნდობა.

აგრეთვე ჩვენ მიერ აღდგენილ იქნა მჭიდრო კავშირი ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებთან და ყოველმხრივ დახმარებას უწევდით მათ პოლიტიკური მომუშავეების მიშველებით.

აი მოკლე ანგარიში ჩვენი პოლიტიკური მუშაობისა მცხოვრებთა შორის ზაფხულის პერიოდში. უნდა ვიფიქროთ, რომ შემდეგ ზაფხულში ეს მუშაობა ერთი-ორად გაძლიერდება.

ძნელაძე

ომის ინვალიდთა უზრუნველყოფისათვის

ომის ინვალიდთა უზრუნველყოფის საქმე საქართველოში სრულიად მოუწესრიგებელია, რაიც დიდ ანორმალობას ჰქმნის ჩვენს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არ სჩანს პატრონი, ხელმძღვანელი ამ საქმისა. ადამიანმა არ იცის ვის მიმართოს ამ საკითხზე. ერთი დაწესებულება მეორესთან გაგზავნის, მეორე მესამესთან და ასე დაუსრულებლივ. ბოლოს, როგორც არის ბილობ, რომ ინვალიდთა უზრუნველყოფა საქართველოში აღარ არსებულა, რომ იგი მომკვდარა „სობეზთან" ერთად.

მართლაც და „სობეზის" გაუქმების შემდეგ არც ერთი სახელმწიფოებრივი ორგანო აღარ ზრუნავს ინვალიდებზე. ინვალიდთა უზრუნველყოფა თავს დააწყა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ეგრედ წოდებულ საქართველოს ომში დასახიჩრებულთა კავშირს, რომლის მუშაობა სწარმოებს ვიწრო ფარგლებში და ატარებს უფრო ქველმოქმედების იერს, ვიდრე ჭეშმარიტ უზრუნველყოფის ხასიათს.

საერთოდ „სობეზის" სოციალ-უზრუნველყოფის პოლიტიკა მეტად უხეირო იყო და იგი ემყარებოდა ძველი მთავრობის მიერ ნაანდერძევ პენსიონურ სისტემას. არ იქნება გაზვიადებული თუ ვიტყვით, რომ ინვალიდთა სოციალურ უზრუნველყოფის პოლიტიკა საქართველოში, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, იყო პარაზიტული ელფერის და თუ რაიმე ნაბიჯები იყო გადადგმული ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, ამას ჰქონდა ცალკეულ შემთხვევაში, არა სისტემის და გეგმის ხასიათი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ მდგომარეობას უნდა საზღვარი დაედვას. აუცილებლად საჭიროა გენერალური რევიზია ინვალიდთა უზრუნველყოფის პოლიტიკის საქმეში, ახალი მეთოდების და გზების გამოძებნა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან შეფარდებით. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ საკითხის მხოლოდ ზოგიერთ მხარეს შევეხოთ. უპირველეს ყოვლისა ზოგირამ პენსიონური სისტემის შესახებ. ჩვენი ღრმა რწმენით, ინვალიდის უზრუნველსაყოფად საჭირო რაოდენობის პენსიის გაღებას საბჭოთა საქართველოს ღარიბი სალარო ვერ შესძლებს; მცირე რაოდენობის პენსია კი მიზანს, ე. ი. ინვალიდის უზრუნველყოფას, ვერ აღწევს. ინვალიდთა მაქსიმალური პენსიით დაკმაყოფილება რომ კიდევაც რეალობად წარმოვიდგინოთ, ეს მეტად უარყოფითი მოვლენა იქნებოდა საზოგადოებრივი თვალსაზრისით, იმიტომ რომ საზოგადოების რამდენიმე ათასი წევრი, დაკმაყოფილებას შეჩვეული, აღარ იშრომებდა. პენსია მისაღებია მხოლოდ ერთ შემთხვევაში—როდესაც ინვალიდს დაკარგული აქვს როგორც ფიზიკური, ისე ინტელიგენტური და პროფესიონალური შრომის უნარი სავსებით. ასეთ ინვალიდს ჩვენ უწოდებთ სრულ ინვალიდს.

დანარჩენ შემთხვევებში, ე. ი. როდესაც ინვალიდს დაკარგული აქვს შრომის უნარის ერთ ერთი სახე (ფიზიკური ან ინტელიგენტური ან პროფესიონალური), უზრუნველყოფას საფუძვლად უნდა დაედვას ეგრედ წოდებული შრომის პრინციპი.

შრომის პრინციპი გულისხმობს ინვალიდის შრომის გამოყენებას. ინვალიდი უნდა ჩავაბათ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში და ამ მხრივ უნდა გაუწიოს მათ დახმარება, როგორც სახელმწიფომ, ისე საზოგადოებამ.

არსებობს კი შესაძლებლობა ინვალიდთა შრომის გამოყენებისა? თავის თავად ცხადია, რომ კი. თუ ინვალიდს მიღებული აქვს ისეთი დასახიჩრება, რომელიც საშუალებას უსპობს მას ძველი პროფესიული ხელობა განაგრძოს, მაშინ სდგება საკითხი ასეთ ინვალიდის შრომის გამოყენებისა სხვა დარგში, სხვა ხელობაში. ხშირად ასეთ ინვალიდს შეასწავლიან ხოლმე სხვა ხელობას. ინვალიდი არა სრული, არამედ ისეთი, რომელსაც შრომის უნარი დაკარგული აქვს ნაწილობრივ, შრომის პროცესში, რა თქმა უნდა, უკანასკნელის ხასიათის მიხედვით, არაფრით არ განსხვავდება ხელებით ჯანმრთელ ადამიანისაგან. ასე მაგ. ორივე ფეხებ მოჭრილი ინვალიდი ისეთივე შრომის ნაყოფიერებით აკეთებს იატაკს და ტანსაცმელის ჩოთქებს, როგორც ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანი. ასეთივე ხასიათისაა უფეხო ინვალიდის შრომა ფეხსაცმელის და ტანსაცმელის კერვის საქმეში, უხელო ინვალიდის სავაჭრო, საყარაულო საქმეში და გონებრივი ხასიათის სამუშაოშიაც. არ კმარა მარტო შრომის პრინციპის აღიარება—საჭიროა იმ წინასწარ პირობების დაკმაყოფილება, ურომლისოთაც ინვალიდთა შრომის გამოყენება განუხორციელებელი დარჩება. ჩვენ ვგულისხმობთ აქ პროტეზებს და აქიმობის საქმეს. ცნობილია, რომ თუ ინვალიდს არ ექნა ხელოვნური ფეხი, ისე მუშაობა მას არ შეუძლია. მიწად-მოქმედებაში ცალფეხა კაცი სრულიად გამოუსადეგარია. ხელოვნური ფეხი ავსებს ამ ნაკლს და მუშაობას შესაძლებლად ხდის. ასეთივე მნიშვნელობისაა ხელოვნური ფეხი წარმოებაშიაც. ამ ჟამად ომის ინვალიდებს ხელოვნურ ფეხებს უფასოდ არ უკეთებენ. თითო ფეხი ჯდება კერძოდ სამი ოთხი მილიონი. ასეთი თანხის გაღება ინვალიდთა უმრავლესობას არ შეუძლია და ნებსით თუ უნებლიედ ისინი იძულებულნი არიან ხელი მოჰკიდონ სპეკულიაციას ან სხვა რაიმე დასაგმობ საქმეს. ასეთივეა ინვალიდთა აქიმობის საქმე, თუ ინვალიდს ჭრილობა მოურჩენელი აქვს, იგი შრომაში გამოუსადეგარია, პირიქით, თუ ინვალიდი ამ მხრივ დაკმაყოფილებულ მდგომარეობაშია, შრომაში მონაწილეობის მიღებაც შესაძლებელი ხდება. ასეთი დიდი მნიშვნელობისაა პროტეზები და აქიმობა ინვალიდთა შრომის გამოყენების საქმეში. ამიტომ ამ საქმეს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. სამწუხაროა, რომ ჯამრთელობის სახალხო კომისარიატი, რომლის გამგებლობაში იმყოფება ორივე ეს დარგი, არ აქცევს მას ყურადღებას.

ეხლა დავსვათ საკითხი: რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა—ინვალიდთა კოლექტიურ შრომას თუ მათ ცალცალკე, დამოუკიდებელ საქმიანობას? თავის თავად ცხადია, რომ პირველს უნდა მიეცეს უპირატესობა. მაგრამ მეორე სახის საქმიანობაც, რამდენადაც იგი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას წარმოადგენს, უეჭველია სახელმწიფოს და საზოგადოების ყურადღების საგნად უნდა შეიქნეს.

ინვალიდთაგან შემდგარი ასოციაციები და კომუნები,—აი ის ორგანიზაციები, სადაც ინვალიდთა კოლექტიურ შრომას უნდა მიეცეს ფართო ასპარეზი. სახელმწიფომ მხოლოდ თავდაპირველად უნდა გაუწიოს მათ დახმარება, სამრეწველო და სამეურნეო იარაღების მიწოდებით, ნედლი მასალის ნისიად მიცემით, კომუნის ნაწარმოებისათვის ბაზრის შოვით, სესხით, შეკვეთების მიცემით და სხვა. შემდეგ კი კომუნებმა დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივით, თვითმოქმედების ნიადაგზე უნდა შესძლონ არსებობა. სახელმწიფოებრივმა რომელიმე ორგანომ თავს უნდა იდვას ზემოდ აღნიშნულ ორგანიზაციების მოწყობა, იდეური ხელმძღვანელობა და კონტროლი. ინვალიდებს უნდა შევაგნებინოთ ასეთ ორგანიზაციებში შესვლის საჭიროება და უპირატესობა.

კომუნების უმთავრესი დანიშნულება უნდა გამოიხატებოდეს სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობაში,—ამიტომ კომუნამ უნდა გახსნას სხვა და სხვა სახის სახელოსნოები, მოაწყოს საკუთარი მეურნეობა და სხვა. ადგილობრივი ეკონომიკის და მეურნეობის სპეციფიურობის მიხედვით კომუნა ეწევა ამა თუ იმ წარმოებას ან მეურნეობას—ე. ი. კომუნამ ხელი უნდა მიჰყოს ისეთ წარმოებას და მეურნეობას, რომელიც შეეფერება ადგილობრივ პირობებს და უახლოეს ბაზრის მოთხოვნილებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს და საზოგადოების ყურადღების საგნად უნდა შეიქნეს აგრეთვე ის ინვალიდი, რომელიც ეწევა კერძო, დამოუკიდებელ მეურნეობას. ასეთ ინვალიდს უნდა დავეხმაროთ სამუშაო საქონელით, სამეურნეო იარაღით, მიწის დამუშავებით, შეშის მოტანით და სხვა. ყოველივე ეს უნდა გატარდეს უმთავრესად საზოგადოების ხარჯზე და საზოგადოების საშუალებით. ვფიქრობთ, რომ შინ. საქ. კომისარიატი, აღმასკომების საშვალებით ადვილად მოაგვარებს ამ საქმეს.

ერთი გარემოება აღსანიშნავი: ინვალიდთა ეშელონები ყოველ დღიურად აწყდება თბილისს; ჩამოდიან ზოგი პენსიის საქმეზე, ზოგი ტანისამოსის მისაღებად, ზოგი ისე—,,ამბის გასაგებად" ან სასპეკულიაციოთ. პროვინციის ზოგიერთი დაწესებულებანი, რათა თავიდან მოიშორონ უსიამოვნება ინვალიდებთან, აგზავნის მათ თბილისში. ,,წადით თბილისში იქ ყველაფერს მოგცემენო", ეუბნებიან მათ დაწესებულებათა პასუხისმგებელი პირები. ჩამოდიან, მაგრამ ბრუნდებიან ხელცარიელნი. უნდა ბოლო მოეღოს ინვალიდთა მოგზაურობას და გადასვლა გადმოსვლას ერთი ადგილიდან მეორეში. ამის განხორციელება კი შეძლება, თუ გატარებული იქნება ცხოვრებაში ინვალიდთა დახმარების დეცენტრალიზაცია. პერიფერიებში უნდა დაევალოს სათანადო ორგანოებს ამ საქმის ხელმძღვანელობა, ხოლო ცენტრმა უნდა იკისროს საჭირო სახსრების გაღება.

ამ ჟამად სამხედრო-საზღვაო კომისარიატი ამუშავებს პროექტს ინვალიდთა უზრუნველყოფის შესახებ და ჩვენ რწმენას გამოვსთქვამთ, რომ ეს საკითხი ყოველ მხრივ იქნება შესწავლილი და გაშუქებული.

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის მეორე რაიონული კომიტეტის განზრახვა ინვალიდთა კომუნის შექმნისა ქალაქ ტფილისში. რამდენადაც ვიცით, ინვალიდებისავე მონაწილეობით, რაიკომის მიერ შემუშავებულ იქნა წესდება, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას ტფილისის კომუნას. განზრახულია საქართველოს დასახიჩრებულთა კავშირის რეორგანიზაციის მოხდენა და ამისათვის შემუშავებულია სათანადო დებულება. როგორც წესდება, ისე დებულება მოწონებულია მეორე რაიკომის ბიუროს მიერ და გადაგზავნილია დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს.

წესდება და დებულება ალბად თავის დროზე გამოქვეყნებულ იქნება პრესაში და მაშინ მათ შესახებ ცალკე წერილში მოვილაპარაკებთ.

გ. მ.—ანი.

სოფრომ გლახაშვილი (ტარუაშვილი)

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და დრამატურგი სოფრომ გლახაშვილი. სოფრომი ღარიბი ოჯახის შვილი იყო. მამა მისი ხელოსანი იყო. შვილსაც შეასწავლა ხელოსნობა. ბავშობა დიდ წვალებაში გაატარა. ოც წლებში შეისწავლა ბუხჰალტერია და ამ დღიდან იწყება მისი სამსახური სხვა და სხვა დაწესებულებებში. ქიათურაში ყოფნის დროს იმსახურებოდა სცენას და მალე გაითქვა სახელი, როგორც ნიჭიერმა სცენის მოყვარემ.

სოფრომ გლახაშვილი ცნობილია ჩვენ მწერლობაში, როგორც მოთხრობების ავტორი. შინაარს ღებულობდა განსაკუთრებით სოფლის ცხოვრებიდან და მისი გამოყვანილი ტიპი გლეხისა არის ნამდვილი რეალური და მხატვრული სახისა. მწერლობის ენა გლახაშვილისა არის ხალხოსნური და პოპულიარული. გლახაშვილი ცნობილია აგრეთვე, როგორც დრამატურგი; მისი პიესები არა ერთხელ დადგმულა ქართულ სცენაზე.

მთავარი სიუჟეტი მისი პიესებისა არის იგივე სოფელი.

პიესათა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ,,წყურვილს" და ,,ზორკათს".

მიმართულებით სოფრომ გლახაშვილი ეკუთვნოდა ძველ რეალისტურ სკოლას

სოფრომს დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული საზოგადო მოღვაწეთა წრეში და ყველა აფასებდა მის პატიოსან შრომას, დაუღალავ ენერგიას და პირდაპირობას, რაც მის კარგ თვისებას შეადგენდა.

ქართლელ-იმერელი

ეკონომიური ცხოვრება

ბათომის ნავთსადგურის მოღვაწეობა სექტემბერში სექტემბრის განმავლობაში ბათომის ნავთსადგურში შემოვიდა 23 დიდი გემი შემდეგი ფლაგებით. იტალიის—10, ინგლისის—3, საფრანგეთის—1, ამერიკის—1, ბელგიის—1, საბჭოთა რუსეთის—6.

ამ ხნის განმავლობაში გავიდა 28 გემი.

პატარა გემები და ოსმალეთის ფელუგები შემოვიდა—41. და გავიდა—53.

მანქანების გადაგზავნა ბათომიდან. ბათომიდან დაზგების და მანქანების გადაგზავნის საკითხის შესახებ, უმაღლეს მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმმა 25 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა მიიღოს აჭარის სახ. სამეურნეო საბჭოსაგან საჭირო დაზგები („ტემზი"-ს და ლითონის განყოფილების არჩევით) და მათ ნაცვლად მისცეს კოკსი და ქვა ნახშირი.

ტფილისის ბირჟა 1922 წლ. ოქტომბერში. ოქტომბრის განმავლობაში ბირჟის საშუალებით გაცემულია 26.500 ქაღ. ოსმალური ლირა, 8.000 დოლარი, 6.368 გირვანქა სტ., 700 ოქროს ოსმალური ლირა, 5 000 ფრ. და 9 170 მანეთი ოქრ. ყოველივე ეს გადაყვანილი ლირაზე უდრის 155,892 ქაღ. ოსმალ. ლირას.

ვაჭრობის სახის მხრივ ვალიუტის გაცემა ნაწილდება შემდეგნაირად: პირველი ადგილი უჭირავთ თბილისის მოვაჭრეთ, რომელთაც მიიღეს 14,000 ლირა, 2.500 დოლარი, 2.385 გირვ. სტ. და 8 840 მან. ოქრ. ან გაცემულის 40 პროც. მეორე ადგილი უკავიათ სხვა და სხვა პირთ, რომელთაც მიიღეს 200 გ. სტ. 5,000 ფრანკი, 5,100 მანეთი ოქრო ან 26 პროც. მესამე ადგილი უკავიათ—დაწესებულებებს, რომელიც მიიღეს 4,950 ლირა, 5,000 დოლარი, 3,283 გირ. სტერლინგი, 320 მანეთი ოქრო ან 25 პროცენტი. კოოპერატივებს უკავიათ მეოთხე ადგილი, რომელთაც მიიღეს 5,650 ოსმ. ქაღ. ლირა და 700 ოქ. ლირა ან 5,8 პროც. გაცემული რაოდენობისა, მეხუთე ადგილი უკავიათ შერეულ ვაჭრობას, რომლის წარმომადგენლებმა მიიღეს 1500 ქაღ. ლირა, 500 გირ. სტ. ან 1,9 პროცენტი გაცემული რაოდენობისა; დაბოლოს, უკანასკნელი ადგილი უკავიათ მანუფაქტურისტებს, რომელთაც მიიღეს 2,000 ოსმალური ლირა, 500 დოლარი, ან გაცემული რაოდენობის 1,3 პროცენტი.

საშუალოდ ყოველდღიური გაცემა უდრიდა 12 ათას ოსმ. ქაღ. ლირას. თუ მხედველობაში მივიღებთ საოპერაციო დღეების ჩვეულებრივ რიცხვს, თვეში 26 დღეს, მაშინ დღიური გაცემა გამოიხატება 6,000 ლირაში.

თუ კი შევადარებთ ოქტომბერში გაცემულს სექტემბრის ოპერაციას მაშინ აღმოჩნდება, რომ ოქტომბერში ვალიუტის გამო 36,000 ოსმ. ქაღ. ლირით შემცირდა:

მდგომარეობა ბირჟაზე 1922 წლის 9 ნოემბერს.

ტფილისი, 9 ნოემბერი. ტფილისის სავალიუტო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი.

ოქრ. 10 მანეთიანი 1.125.000 მ., ოსმალ. ქაღ. ლირა—155.000 მ, სტერლინგი—975.000 მ., დოლარი—250,000 მ.

უცხო ვალიუტის არა ოფიციალური ბიულეტენი.

სტერლინგი 1.050.000—1 060.000, ფრანკი 17.000—17.500, იტალ. ლირა 8.500—9.000, ოსმალ. ქაღ. ლირა 161.000—163.000, დოლ. 235.000—238 000, გერმანიის მარკა 130—140, ოქრ. 10 მან. 1.260.000—1.270.000, ოქრ. ლირა 1.020.000.

ბათომის ბირჟა

ბათომი. 8 ნოემბერი. **უცხო ვალიუტის არა ოფიციალური კურსი:** სტერლ. 1.050.000, ფრანკი—15.000, იტალ. ლირა—9 000, ოსმალ. ქაღალდის ლირა—157.000, ოქრის 10 მანეთიანი—1.170.000, ოქროს ლირა—935.000.

სტამბოლის ბირჟა.

სტამბოლი. 5 ნოემ. უცხო ვალიუტის თავისუფალი კურსი 4 ნოემ. გირვ. სტ. 852, ამერ. დოლარი—187,8, 20 ფრანკი—262,3, 20 იტ. ლირა—158,7, 20 მარკა—0,7, ოქროს 10 მანეთ.—915, ოსმალ. ოქრ. ლირა—825.

პარიზის ბირჟა.

პარიზი. 8 ნოემ. ლონდ.—71,815; ნიუ-იორკ—16,6; გერმანია — 0,20; ესპანია—245.00.

ბერლინის ბირჟა.

ბერლინი. 8 ნოემ. გირვ. სტერლ. 40399,00; დოლარი—9127.00; გულდენი—3551 00.

პატარა ფელეტონი

სალანდრა თუ „სალამანდრა"

ოჰ, იტალია! იტალია! კვლავ იტალია!
რა უკუღმართად მოტრიალდა შენი ტალია,
რომ მაგ შენს „ფაშვში" ჩაისახა ესე ცხოველი,
რომლის წინაშე პირუტყვთ მოდგმა ფას არს ყოველი!

ფაშისტის სახელს იმეორებს დღეს ქვეყნად ყველა,
მან „პოგრომჩიკის" ძველი სახეც კი დააბნელა,
და დღეს პარპაშობს დასავლეთში, როგორც კალია,
სუნმა ჩვენამდის მოაღწია: ეგზომ მყრალია!

შენს არემარეს ხომ სულ შხამავს ის დაუსჯელათ,
ლამობს, დასავლეთს სულ მოედოს გაზათ მხრჩობელათ!..
მის წინ თავს ჰხრიან ფაქტა, სფორცა და თვით სალანდრა
და ეს მუშების „მუსოლინი" არს „სალამანდრა!.." *)

ოჰ, იტალია! იტალია! კვლავ იტალია!..
რა ჯოჯოხეთად დატრიალდა შენი ტალია,
რომ შენმა „ფაშვმა" შვა ფაშისტი, ესე ცხოველი,
რომლის წინაშე პირუტყვთ ჯიში ფას არს ყოველი!..

ონიხიძე.

---

*) „სალამანდრა"—ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავალი. ჯოჯო ვაგლახა.

დიდი ოქტომბერი

(მოგონება).

(გაგრძელება იხ. „კომუნისტი"ს № 257)

სიძვირე, ეკონომიური კრიზისი, შიმშილი, ფრონტებზე გაძლიერებული ბრძოლა, გაძვალტყავებული ხალხის იმპერიალისტურ ომის—,,ღმერთებისათვის" კვლავ უმანკო სისხლის ღვრა, მენშევიკ-ესერების პოლიტიკურ მდგომარეობას ძირიანად არყევდა; სამაგიეროდ ჩვენ პოლიტიკურად გვამაგრებდა.

ათასი მახინაციები და ეშმაკობა სჭირდებოდა მენშევიკებს, რომ როგორმე მათთვის შექმნილი ეს მძიმე მდგომარეობა შეეცვალათ... და აქ ისინი ახერხებდენ ამ ,,მახინაციების" მოწყობას; ისინი ავრცელებდენ ხოლმე წინდაწინ ხმებს, რომ ამა და ამ დღეს ,,ბოლშევიკების გამოსვლა მოხდება"; ეს იმ დროს, როცა ბოლშევიკებს აზრადაც არ ჰქონდათ ასეთი ,,გამოსვლების მოწყობა". ჩვენ ვცდილობდით მხოლოდ ჩვენი ორგანიზაციები მოგვეწყო, გაგვემაგრებია, ჩვენს სასარგებლოდ შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები, ჩვენი მუშაობისათვის გამოგვეყენებინა.

ასე შეთხზულ და გავრცელებულ ჭორებით, მენშევიკები მართლაც აღწევდენ ხშირად თავიანთ მიზნებს. ამ მოგონილ ,,ამბებს" თავიანთ ამხანაგებში სინამდვილეთ, მართლა არსებულ „ამბებათ" ასაღებდენ.

ისინი ამზადებდენ შეიარაღებულ ძალებს, რაზმავდენ საჭირო პუნქტებში და დამფრთხალ ,,საზოგადოებას" აჩვენებდენ, რომ, „ბოლშევიკების გამოსვლებისაგან" გიცავთო, მეორე მხრივ — რევოლიუციონური ხალხი ტერორის ქვეშ ყავდათ.

მათ მიერ პროვოკაციული მიზნით მოგონილი „ბოლშევიკების გამოსვლები" რომ არ შესდგებოდა,—არ შესდგებოდა. რადგან თითონ ბოლშევიკებს არ ჰქონდა აზრად, გავრცელებულ ხმების დამჯერე ბოლშევიკების თანამგრძნობ გულუბრყვილო ელემენტებში შეჰქონდა მართლაც ბოლშევიკებისადმი გულგატეხა და უნდობლობა.

ასე, „იმარჯვებდენ" ჩვენზე, ჩვენი ქართველი მენშევიკები. ასე აღწევდენ ისინი თავს, მათთვის შექმნილ მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობას. და უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ჩვენმა აქაურმა მენშევიკებმა მეტი მოხერხება და უნარი გამოიჩინეს თავის დაცვაში და ბატონობის შენარჩუნებაში, ვიდრე მათმა ძმებმა რუსეთში.

მენშევიკების ერთი ბელადთაგანი, ნოე რამიშვილი თავის წრეში ამის გამო საიდუმლოდ ხშირად იკვეხნიდა ხოლმე: ...ეხ თქვენ ბალღები ხართ. მე ისეთი მახე კი დაუგე ბოლშევიკებს, ისეთი ,,ნომერი" კი გადავისროლე მათ წინააღმდეგ, რომ ხალხის განწყობილება მათდამი ერთბაშად შევცვალე და ის ჩვენსკენ გადმოვხარე".

პეტერბურგ მოსკოვის მაგალითს წითელი გვარდიის შედგენის საქმეში ჩვენმა მენშევიკებმაც მიბაძეს და მათაც იწყეს მოწყობა,—არა „წითელი გვარდიის" სახელწოდებით,—აქ ამ ,,სახელის" მათ რცხვენოდათ და არ უნდოდათ დაეფრთხოთ ბურჟუაზია, რომელსაც ეძმობილებოდენ და რომლებთანაც ხმა შეწყობილი ერთად ეწეოდენ სახელმწიფო მუშაობის ჰაპანს,—არამედ „მუშათა მილიციის" სახელწოდებით.

განვლო აგვისტომ.

ფეხი შევსდგით სექტემბრის თვეში.

ეს თვე ხასიათდება ორი ქვეყნის ჩამოყალიბებით, მომწიფებით და ერთი მეორესთან აშკარა სამტროთ დაპირისპირებით.

ამ თვემ მოუვლინა აზვირთებულ რუსეთს სხვა და სხვა,—„დემოკრატიული" თუ ,,გაერთიანებული სოციალისტური თათბირები", შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობიდან დავდასაღწევად. ამ თვემ მოგვასმინა კონტრრევოლიუციის ბანაკში თავამოყოფილი ზოგიერთ ,,მემარცხენე" სოციალისტების საბრალო ღაღადი: ,,არიქა, სოციალისტური მთავრობა შევადგინოთ, ,,უბოლშევიკოდ მარცხნივ, უკადეტოთ მარჯვნივ, (,,ნოვაია ჟიზნი" და მის გარშემო შემოკრებილი ინტელიგენცია.) ძირს საბჭოების ძალა-უფლება. ძირს კოალიციონური ბურჟუაზიული მთავრობა. გაუმარჯოს სოციალისტურ დემოკრატიულ მთავრობას"-ო და სხვა.

მაგრამ არც ერთი ჰკუათა მყოფი,—როგორც მუშათა, ისე ბურჟუაზიული წრიდან,—მათ ძახილს მნიშვნელობას არ აძლევდა.

მიუხედავათ მათი გოდებისა, ორი ძირითადი ბანაკის დაჯგუფება, და შესაფერ ორგანიზაციებში ჩამოყალიბება სწრაფად სწარმოებდა.

დადგა ოქტომბრის გადამწყვეტი დღეები.

ატმოსფერა საშინლად დამძიმდა.

პროლეტარული რევოლიუციის ყოველივე ძველის წარმხოცი აჩრდილი თავს დაადგა ბურჟუაზიას და მათ აგენტ-ლაქიებს, მენშევიკ-ესერებს.

ჰაერში ათამაშდა ცეცხლის ენები.

რადიო-დეპეშებს მოაქვს განუწყვეტლივ პეტერბურგ-მოსკოვიდან ცნობები დარაზმულ პროლეტარიატის ქუჩებში გამოსვლის სამზადისის შესახებ.

მოსული თუ ადგილობრივი გაზეთები სავსეა საწინააღმდეგო ლოზუნგებით: „მთელი ძალა უფლება საბჭოებს. ძირს კერენსკის მოღალატური მთავრობა.—" არის ერთი მხრივ ბოლშევიკურ გაზეთების ფურცლებზე. „გაუმარჯოს დროებითი მთავრობას, ძირს პროვოკატორი ბოლშევიკები, რომლებიც ხელს უშლიან, დამფუძნებელ კრებას,"—სწერია მეორე მხრივ ბურჟუაზიისა და მენშევიკ-ესერების გაზეთებში.

ქვეყანა რომ ორ შეურიგებელ ბანაკად არის გაყოფილი, ამას ყველა ხედავს.

პეტერბურგ მოსკოვის დეპუტატთა საბჭოებიდან გამოდევნილი რევოლიუციის დეზერტირები, პროლეტარულ რევოლიუციის გვერდის ამხვევი:—წერეთელი, ჩხეიძე, ვოიტინსკი, მინორი, სოკოლოვი, და მრავალი სხვები მოაწყდენ აქ, ჯერ შეურყეველ მენშევიკების, ,,ოაზის"—„ტურფა" საქართველოს. მათ იცოდენ რომ წვრილ-ბურჟუაზიულ, არა პროლეტარულ ქვეყანაში,—საქართველოში გაბატონებული მენშევიკები იყვნენ; ისინი შესძლებდენ გამოქცეულების შეფარებას.

...გაცხოველებული სამზადისი სწარმოებს 25 ოქტომბრისათვის.

25 ოქტომბერს პეტერბურგში,—ამ რევოლიუციის ქურაში—უნდა შესდგეს დეპუტატთა საბჭოების ყრილობა სრულიად რუსეთისა და მასთან დაკავშირებულ განაპირა პატარა ქვეყნების.

ეს ყრილობა ხდება მენშევიკ ესერებით გავსებულ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სურვილის წინააღმდეგ.

ამ ყრილობის მოწვევის ინიციატივა და პასუხისმგებლობა თავს იდვა გაბოლშევიკებულმა პეტერბურგის დეპუტატთა საბჭომ, მოსკოვის რევოლიუციონურ მუშათა საბჭოს თანხმობით და მხარის დაჭერით.

სრულიად რუსეთის პირველად ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში გაბატონებული მენშევიკ ესერები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ საბჭოთა მეორე ყრილობის მოწვევის ამის საწინააღმდეგო ერთ ერთ არგუმენტათ ისინი აყენებდენ დამფუძნებელ კრების სამზადის, რომლის მოწვევას მათი აზრით შეაფერხებდა საბჭოების ყრილობა. კიდევ მეტი; მათ ეშინოდათ, რომ ყრილობისაგან არჩეულ ახალ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს არ დაეჭირა დამფუძნებელი კრების ადგილი. მეორე არგუმენტი,—ჩვენის შეხედულებით უფრო დიდი, მაგრამ დაფარული მათგან,—იყო ის, რომ მეორე ყრილობის დელეგატების დიდი უმეტესობა ბოლშევიკების მხარეზე იქნებოდა, რომ ამ ყრილობის შედეგათ მენშევიკ-ესერები წაირეცხებოდენ ცენტრალურ-აღმასრულებელ კომიტეტიდან, რომ ახალ აღმასკომში აღარ იქნებოდენ ლიბერ-დანი-ჩხეიძეები, რომ ახალი აღმასრულებელი კომიტეტი გამოაცხადებდა სულ ახალ, პოლიტიკურ წესწყობილებას, საიდანაც მენშევიკ-ესერები აღაგვებოდენ პროლეტარიატის რკინის ცოცხით.

ამიტომ იყო, რომ მენშევიკ-ესერები თხოულობდენ ყრილობის გადადებას; მთლად უარს მოწვევაზე ვერ ბედავდენ, თუმცა ასეთი იყო უკანასკნელი მათი ღრმა გულის ნადები და სურვილი.

ამით მენშევიკ-ესერები იმედოვნებდენ, რომ შემდეგ მოხდებოდა ისეთი ,,სასწაული" რაც მშრომელი ხალხის სულიერ განწყობილებას შესცვლიდა მათდა სასარგებლოდ; მაშინ კი საწინააღმდეგოც არაფერი არ ექნებოდათ ყრილობის მოწვევის, რადგან საბჭოებიც ძველებურათ მათი მონამორჩილი იქნებოდა.

და აი, ამიტომ, აქა თუ იქ, პატარ პატარა,—არა სამრეწველო ქალაქებში, სადაც ბატონობდენ ჯერ კიდევ მენშევიკ-ესერები საბჭოებში, გამოჰქონდათ რეზოლიუცია დადგენილებები სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის გადადების შესახებ.

ასეთი რეზოლიუცია იქნა გამოტანილი აქაც,—როგორც ე. წ. ,,კავკასიის ცენტრში", ისე თბილისის მუშათა და სალდათთა საბჭოს პლენუმზე, ნოე ჟორდანიას ,,ლოცვა კურთხევით" და ხელმძღვანელობით.

მაგრამ ყოველივე ეს ზომა, რუსეთის მასშტაბით მენშევიკ-ესერების შერყეულ და კოტრობამდის მისულ მდგომარეობის გამოსაბრუნებლად,—რომ ამაო იყო, რომ აწი ისინი ვეღარ დაუბრუნებდენ წერეთელ ჩხეიძეებს რუსეთის აბობოქრებულ პროლეტარიატს; ამას აქ ჩვენი მენშევიკები კარგად გრძნობდენ, ატყობდნენ და ამიტომ მათ ხელი მიჰყვეს ისევ ამიერ კავკასიის შემოფარგვლას და გამაგრებას, განსაკუთრებით კი საქართველოს, მენშევიკების ,,სიმაგრეთ" გადაქცევას, რომელზედაც უნდა დამყარებულიყო ამიერ-კავკასიის მთლიანობა.

მათ მოახდინეს გადაჯგუფება და გაამაგრეს ,,კავკასიის ცენტრი" (ამიერ-კავკასიის ჯარისკაცთა, გლეხთა და მუშათა დეპუტატების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) რომელსაც ხელმძღვანელად მიუჩინეს კავკასიის ჯარის კომისარი, ესერი დონსკოი; მათ შექმნეს და განამტკიცეს ასეთი წინასწარი გადაჯგუფებით ამიერ-კავკასიის კომისარიატი,—ევგენი გეგეჭკორის მეთაურობით. მათ გააცხოველეს მუშაობა სულ ამორთმეულ „დამბლა" დაცემულ თბილისის საბჭოში,—გაახშირეს რა სხდომები, ერაძე ჯუღელი-დგებუაძე-შიაბეროვის ხელმძღვანელობით.

ნოე ჟორდანია კი როგორც ზედაპრული ,,მამა ღმერთი" ისე დაჰყურებდა ყველა აპპარატებს და ბრძანებლობდა ხოლო წერეთელ-ჩხეიძეს, როგორც ენა წყლიან მოლაპარაკეებს გზავნიდენ აქა თუ იქ პროვინციებში. სოფლად და ქალაქად კრება-მიტინგებზე გამოსასვლელად, ,,ავტორიტეტიული" სიტყვების წარმოსათქმელად.

ჩხეიძე წერეთლის მიტინგ-კრებებზე ყოველივე ასეთი გამოსვლის შესახებ მენშევიკური გაზეთები აღნიშნავდენ ხოლმე დიდი ასოებით: „რუსეთის რევოლიუციის ბელადმა ამხ. კაკი წერეთელმა წაიკითხა მოხსენება ბათომის საბჭოს პლენუმზე". „ხვალ თბილისში წაიკითხავს მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ რუსეთის რევოლიუციის ბელადი და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კარლო ჩხეიძე", და სხვა ასეთები. მენშევიკებს, ან თვით წერეთელ ჩხეიძეს არც კი ჰქეჯნიდა სინდისი და რცხვენოდა, რომ ასეთ ყალბ რეკლამას აკრავდენ ზურგზე და იყენებდენ გულუბრყვილო უვიც ხალხის მოსატყუებლად, მათზე ზეგავლენის მოსახდენათ ამ ქამანდებით. განა მათ არ უწყოდენ, რომ ისინი აღარ იყვნენ რუსეთის რევოლიუციის ბელადები, რომ პირიქით ისინი განდევნილნი და გამოძევებულნი იყვნენ რუსეთიდან, რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატისაგან, როგორც მოღალატეები და გამყიდველები? ეს ყველაფერი უწყოდენ მათ, მაგრამ იქცეოდენ ასე იმიტომ, რომ ხალხის მოტყუება სჭირდებოდათ, ამ ყალბ რეკლამით ცდილობდენ ბოლშევიკებისაკენ გადახრილი ხალხი შეეჩერებიათ, უკან დაებრუნებიათ.

ს. თალაკვაძე.

(შემდეგი იქნება).

მუშათა ცხოვრება

კომუნალურ მეურნეობის მუშათა სექცია

ამ დაწესებულებაში მრავალი განყოფილებებია, რომლებშიაც დაბანდებულია საკმაო მუშა ხელი. მუშათა საერთო რიცხვი აღწევს 80 ს. ამათში ორი ქალია და ერთი მცირე წლოვანი—17 წლისა. მუშათა მდგომარეობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია. შრომის დაცვის კანონების ცხოვრებაში გატარებას დიდი ყურადღება ექცევა. ნორმალური სამუშაო დღე ყოველგან დაცულია. მუშაობას იწყებენ დილის 7 საათზე და ათავებენ ნაშუადღევის 3 საათზე. კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას მათ შორის ყურადღება აქვს მიქცეული: მისდით გაზეთები, ამ მოკლე ხანში გაიხსნება სამკითხველო, არსებობს კლუბი, სადაც თავისუფალ დროს იკითხება ლექციები და მოხსენებები და იმართება კრებები დღიურ საკითხზე. ამ კლუბით სარგებლობენ აგრეთვე სხვა დარგის მუშებიც და წითელ-არმიელნიც. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კლუბის დარბაზში დროგამოშვებით იმართება წარმოდგენები, რომლის დადგმაშიაც თვით მუშები იღებენ აქტიურ მონაწილეობას.

ერთად-ერთი უდიდესი ნაკლი ამ დაწესებულებისა მდგომარეობს იმაში, რომ არ არის შესაფერისად დაყენებული წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა. თითქმის 90 პროც. მუშებისა წერა-კითხვის უცოდინარნი არიან. იმედია ამ გარემოებას მეტი ყურადღება მიექცევა და წერა - კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა პირველ რიგში იქნება დასმული ვისგანაც ჯერ-არს.

სადურგლო განყოფილებაში

ამ განყოფილებაში მუშაობს 12 კაცი. ნორმალური სამუშაო დღე წესიერათ ტარდება ცხოვრებაში. მუშების მდგომარეობას თანდათან გაუმჯობესება ეტყობა. მაინც უნდა აღინიშნოს ერთი ნაკლი: მუშების მიმართ არ არის დაცული ჰიგიენური პირობები. სამუშაო შენობა ვერ არის სრულიად დამაკმაყოფილებელი. არ არის სავენტილიაციო ფანჯრები. ჯამაგირებს ყოველთვის თავიანთ დროზე იღებენ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამწუხაროდ მუშების შეგნება იმ დონემდის არ არის განვითარებული, რომ თავიანთ საქციელს ანგარიშს უწევდენ. ზოგიერთი მუშები თავისუფალ დროს ატარებენ ქეიფში. განსაკუთრებით ასეთ ფაქტებს ადგილი აქვს ჯამაგირების მიღების შემდეგ. მთელი თვის ნამუშევარს ერთ დღეს ფლანგავენ და მეორე დღეს ცარიელ ჯიბით ესტუმრებიან ოჯახს. იმედია მუშები თვით ჩაუკვირდებიან თავიანთ მდგომარეობას და მომავალში დაგმობენ ასეთ საქციელს. მუშებს ყავთ ადგილკომი სამი კაცისაგან შემდგარი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს შრომის დაცვის კანონების ცხოვრებაში გატარებას. ადგილკომი პირნათლად ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას და ენერგიულ ზომებს იღებს მუშათა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

სამჭედლო სახელოსნოში

სახელოსნოში მუშაობს 7 კაცი. აქაც, როგორც სადურგლო განყოფილებაში, შენობას არა აქვს სავენტილაციო ფანჯრები. მუშები უკმაყოფილებას გამოსთქვამენ სპეც ტანისამოსის მიუღებლობის გამო. თუმცა დიდი ხანია პირდებიან,—აი ხვალ მოგცემთ და აი ზეგო, მაგრამ დაპირება დაპირებას ვერ გასცილდა. თავიანთი ტანისამოსით სამუშაოზე მიდგომა შეუძლებელია მუშებისათვის, ვინაიდან ერთის მხრივ ცვდება ტანისამოსი ხოლო ახლის შეძენა კი თავიანთი ჯამაგირით შეუძლებელია, და მეორე მხრივ ეს სიბინძურის გავრცელებას უწყობს ხელს. საექიმო დახმარების მხრივ მუშები ძლიერ კარგ პირობებში იმყოფებიან. სამეურნეო სექციას საკუთარი ექიმი ყავს წამლებს იღებენ საავადმყოფოს კასიდან. წარმოებასთან ბინების უქონლობის გამო მუშები ცხოვრობენ მუშათა სახლებში, მუშათა დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარნი არიან, ამ მოვლენის სალიკვიდაციოთ გადადგმულია ნაბიჯები. განზრახულია პირველ საფეხურის შკოლის გახსნა. ამ მხრივ მუშაობა სწარმოებს. მუშები სარგებლობენ შვებულების უფლებით. ვინც ვერ ისარგებლა ამ უფლებით, ისინი ღებულობენ საფასურს.

ახალი.

საბჭოთა მეხუთე ელექტრონის სადგური.

სადგურში მუშაობს 21 კაცი, ამათში 5 მცირე წლოვანია 16—17 წლისა, სამუშაო პირობები ცუდია. შრომის დაცვის კანონები მთლიანათ არ ტარდება ცხოვრებაში. შედიხართ შენობაში, თქვენ წინ იშლება სამწუხარო სურათი. შენობას არა აქვს საჰაერო ფანჯრები, რის გამოც ჰაერი შეხუთულია. მუშები ერთიანად ამოსვრილნი არიან მაზუთში. მიუხედავათ იმისა, რომ მუშებს ასეთ შავი სამუშაოს შესრულება უხდებათ, ისინი მოკლებულნი არიან სპეც ტანისამოსს რაც უფრო აუტანელს ხდის მუშაობის პირობებს და აორკეცებს ანტისანიტარულ მდგომარეობას. მუშები მოკლებულნი არიან აგრეთვე პირსაბანს, პირსახოცს და საპონს. სადგურთან ბინების უქონლობის გამო მუშები ცხოვრობენ მუშათა სახლებში. ამ ჟამად სადგურთან ცხოვრობს მხოლოდ მეხანიკი და მოკუჩნავე. ამათი ბინები ვერ არის დამაკმაყოფილებელი, აქ ზამთარში გაძლება შეუძლებელი იქნება, ბინებში საშინელი ნოტიო არის, ამავე დროს წარმოუდგენელი სიცივეა. საჭიროა დროით, ჯერ სანამ ზამთარი არ დამდგარა, საცხოვრებელ ბინების რემონტი. მუშებს ყავთ თავიანთ შორის ამორჩეული ერთი ამხანაგი, რომელიც ადგილკომის ფუნქციებით არის აღჭურვილი.

მუშების ეკონომიური მდგომარეობა არა უშავს. იმყოფებიან ადმინისტრაციასთან კოლექტიურ ხელ შეკრულებაში. გონებრივათ მუშები ძლიერ ჩამორჩენილნი არიან, ამ მხრივ საჭიროა ვისგანაც ჯერ არს მეტი მუშაობა.

მოხული.

ახალკაციშვილის ქსოვის ქარხანა.

ეს ქარხანა არსებობს მადათოვის კუნძულზე. ქარხანაში კამპანიონების გარდა მუშაობას ეწევა ერთი მცირე წლოვანი ბავშვი 13 წლისა, ამ ბავშვის მიმართ ცხოვრებაში არ ტარდება არც ერთი ელემენტარული შრომის დაცვის კანონი. ადამიანს ეგონება, რომ ქარხანა იმყოფება არა ტფილისში, არამედ სადღაც მივარდნილ კუთხეში. ხაზეინი ეწევა ბავშვის უსაზღვრო ექსპლოატაციას. რათა ხაზეინს მადა უფრო კარგათ დაეკმაყოფილებია, ამის გამო ბავშვი აუყვანია შრომის ბირჟის გარეშე, რომელსაც ნათესავათაც კი ასაღებს. ბავშვის მიმართ არ არის დაცული ნორმალური სამუშაო დღე. მუშაობას იწყებს დილის 7 საათზე და ათავებს საღამოს 6 საათზე. განსაზღვრული ჯამაგირი მისთვის არ არსებობს, ამ მხრივ მისი ბედი დამოკიდებულია ხაზეინების „მოწყალებაზე,“ იმედია ხაზეინების ასეთ თავგასულობას ლაგამი ამოედება და ექსპლოატატორი ხაზეინები შესაფერ სასჯელს მიიღებენ.

ხ.—ტ.

ლონდონის ბირჟა

ლონდონი, 8 ნოემბერი. პარიზი—68,82; ნიუ-იორკ—4,45; ბრიუსელი—75,06; ჟენევა—24 | 29; ამსტერდამი—1,37; მილანი—108,00; ბერლინი—38000; სტოკჰოლმი—16,55; კოპენჰაგენი—22,1; ქრისტიანია—24,15: ვენა—350000,00; პრაგა—141,00; მადრიდი—293; ლისაბონი—248.

გერმანიაში თამბაქოს შეტანის შესახებ

გერმანიის მთავრობამ მარკის კურსის დაცემასთან საბრძოლველად გამოსცა განკარგულება, რომლითაც აკრძალულია გერმანიაში არა პირველ-საჭიროებათა საგნების შემოტანა. აკრძალულ საქონელთა შორის ირიცხება თამბაქოც.

პროვინციაში

ოზურგეთი

1922 წლის 15 ოქტომბერს ქალ. ოზურგეთში გაიხსნა ოზურგეთის რაიონის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულთა ყრილობა.

ყრილობის პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება ძველი გამგეობის მუშაობის შესახებ. გამგეობა თავის მოხსენებაში უმთავრესათ იმ მიზეზების აღნუსხვას მოუნდა, რომლებიც ხელს უშლიდნენ გამგეობის მუშაობას. ამის შემდეგ მოხსენებით გამოვიდა კავშირის საბჭოს წევრები, რომელიც ეცადა დაეფარა დეფექტები გამგეობის მუშაობაში და განაცხადა, რომ საბჭო გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებლათ სთვლის. მიუხედავათ ამისა ყრილობისათვის აშკარა შეიქნა ის საერთო უმოქმედობა და საბოტაჟური ქცევა, რომელიც ახასიათებდა გამგეობას.

ყრილობამ ყური არ ათხოვა საბჭოს რეკომენდაციას და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: კოპ. „კავშირის რწმუნებულთა კრება ითვალისწინებს გამგეობის მუშაობის ხელის შემშლელ პირობებს, მაგრამ მის მუშაობას დამაკმაყოფილებლათ მაინც ვერ სთვლის“.

ამის შემდეგ დამტკიცებულ იქნა 1921 წ. ანგარიშები და გაირჩა სხვა და სხვა ორგანიზაციული ხასიათის კითხვები, მაგ. საპაიო თანხის გადიდების შესახებ, კოოპერატივთა რეორგანიზაციის—მომავალ დუქნიანი სისტემის—შემოღება—შესახებ და სხვა.

ახალი გამგეობის არჩევის დროს კრება ეცადა აერჩია ნდობით აღჭურვილი ენერგიული და მომქმედი გამგეობა და, მიუხედავათ მენშევიკების ცდისა, როგორმე გაეყვანათ გამგეობაში „თავისიანები“ და ამრიგად შეენარჩუნებიათ თავისი უკანასკნელი თავშესაფარი, ყრილობამ, კომფრაქციის მიერ წარდგენილი სიის თანხმათ, გამგეობაში აირჩია ამხ. ვარ. ერქომაიშვილი, ქრ. ყასაძე და ალექსი ბოლქვაძე.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. კ. გურგენიძე, მიხ. მკურნალი, დათა შავიშვილი, ლუკა ჩავლეშვილი და პ. თალაკვაძე.

სრულ. საქ. ცენტრ. კოოპ. კავშირის (ცეკავშირის) ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებათ არჩეულ იქნენ ამხ ამხ. ალექ. ერქომაიშვილი, თედ. კალანდაძე, პარ. ბიბინეიშვილი, მიხ. მკურნალი და ავთან. შარაშიძე.

კ. მ—ძე.

ქრონიკა

სახელმწიფო დახმარება

შრომის კომისარიატის სახელმწიფო დახმარების განყოფილების მიერ ოქტომბრის განმავლობაში ღარიბთა დასახმარებლად გაწეულია შემდეგი მუშაობა:

პენსია დაენიშნა 34 კაცს, მასთან ერთად საპენსიო თანხა გადიდებულია 350 ათასიდან 500.000 მანეთამდე. სულ-განყოფილებას ყავს 179 პენსიონერი.

შეღავათი სამინაო ფასის გადახდაში მიეცა 46 კაცს. სულ გაცემულია 1198 საშეღავათო მოწმობა.

ერთდროული დახმარება მიეცა 23 კაცს.

◆ **ამერიკული ტანთსაცმელი.** დაწესებულია მაგარი დებულებები ამერიკული კომიტეტის ტანთსაცმლის განაწილების შესახებ. შერეულმა კომისიამ უპირველეს ყოვლისა უნდა დააკმაყოფილოს ინვალიდები და უმუშევარნი, შემდეგი მოსწავლენი და ბოლოს მოსამსახურენი. ოქტომბრის განმავლობაში ტანისამოსი გაცემულია 184 კაცზე.

◆ **სახელმწიფო დახმარების შინაგან საქმეთა კომისარიატისათვის გადაცემის პროექტი.** საქ. ც. ა. კ. შეტანილია დადგენილების პროექტი შინაგან საქმეთა კომისარიატისათვის სახელმწიფო დახმარების ყველა საქმეების გადაცემის შესახებ.

ქალაქის აღმასკომში

◆ **პრემიების შემოღება ტრამვაის მოსამსახურეთათვის** პრინციპიალურად მიიღო ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა, მაგრამ საბოლოო შეთანხმებისათვის საკითხი გადაეცა პროფკავშირთა საბჭოს, აღმასკომის საფინანსო განყოფილებას, ტრამვაის დირექციას და სატრანსპორტო მუშების პროფკავშირს.

სხვა და სხვა.

◆ მკერავთა კავშირმა თავის სხდომაზე ა. წ. 17 ოქტომბერს დაადგინა: კამოს სახელობის საბავშვო სახლის ფონდის გასაძლიერებლად გადადებულ იქნას 200 არშინი თბილი მატერია და მთელი თანხა, შემოსული სახელმწიფო ფაბრიკების მუშების მიერ მოწყობილ წარმოდგენიდან სულ 6,120,000 მან. აგრეთვე დადგენილ იქნა უკერონ ყოველთვის უფასოდ თეთრეული და კაბები აღნიშნულ სახლის ბავშვებს.

ხელოვნება

◆ **სახელმწიფო ოპერა** დღეს პარასკევს 10 ნოემბერს **„ევგენი ონეგინი“** ახალი შემადგენლობით: ბოკოვა, ბუხტაროვა, სტრიჟენოვა, სარაჯიშვილი, ინაშვილი, საბინინი.

◆ **თათბირი თეატრის შესახებ.** შაბათს, ნოემბრის 12 ს, საღამოს 6 საათზე, განათლების კომისარის კაბინეტში დანიშნულია საგანგებო სხდომა მთავარ სახელოვნო კომიტეტისა. განათლების კომისარის თანადასწრებით გაიმართება თათბირი შესახებ ქართული დრამატიული თეატრის მდგომარეობისა. თათბირზე მოწვეულნი არიან: საქართველოს ხელოვანთა კავშირის წარმომადგენელი, აკადემიური თეატრების მმართველობა, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენელი, საქართ. ახალი მწერლობის კავშ. წარმომადგ. ქართველი რეჟისორები, ქართველ მსახიობთა კავშირის წარმომადგენელი, „ხომალდის“ წარმომადგენელი, „ც. ყანწების“ წარმომადგენელი, „ილიონის“ წარმომადგენელი, რედაქტორები: „კომუნისტის“, „ტრიბუნის“, „ბახტრიონის“, „ლომისის“. კ. ა. მარჯანაშვილი, ი. ზურაბიშვილი, ლ. სვიმონიშვილი, „რაბისისა“ და „მელცნებე ნიამორების“ წარმომადგენელი.

◆ კვირას, 12 ნოემბერს, სახალხო სახლში პოლ. განათ. ქართულ დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორეთ ამ სეზონში ახალი ორიგინალური პიესა ტრ. რამიშვილისა „სტუმარ-მასპინძლობა“ მონაწილეობს დასის საუკეთესო ძალები.

მთავრობის მოქმედება და განკარგულებანი

დადგენილება № 57.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

უსასყიდლოდ გადასული ქონების შეფასების წესის შეცვლის გამო 1922 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღითა და 54 № რით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

უსასყიდლოდ გადასული ქონების შეფასების წესის შეცვლის შესახებ ამა 1922 წ. ოქტომბრის 1-ს თარიღითა და 54 № ით გამოცემული დადგენილების 1 მუხლის შესაცვლელად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს. ზემოხსენებული მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

1. ქალაქში მდებარე უსასყიდლოდ გადასასვლელი უძრავი ქონების კანონიერ შეფასებად უნდა ჩაითვალოს შეფასება, რომელიც მოხდენილ იყო ქალაქის საბჭოს მიერ ომის დაწყებამდე და რომელიც გადიდებულ უნდა იქნეს ოცდა ათი ათასჯერ.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც ქალაქის საბჭოს მიერ არ არის მოხდენილი უძრავი ქონების შეფასება, რაიონის საგადასახადო განყოფილების გამგემ უნდა მოახდინოს, ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის არქიტექტურის თანდასწრებით, სპეციალური შეფასება, რაც დამყარებულ უნდა იქნეს ცნობაზე ქონების ღირებულების შესახებ შეფასების დღისათვის. ყოველივე ხარჯი არქიტექტორის სასყიდლისათვის უნდა გაიღოს იმ პირმა, რომელიც მიიღებს სამკვიდროს.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. ნოემბრის 8

ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— კვირას, 12 ნოემბერს, დილის 11 საათზე საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტის ბინაზე დანიშნულია **საორგანიზაციო წრის** პირველი საორგანიზაციო კრება.

— ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა პარტიულ დისციპლინის წესით.

ტფ. კომ. საორგანიზაციო განყოფ. გამგე **რუბენი.**

— საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება წინადადებას აძლევს 1 რაიონში პოლიტიკურ წრეების ხელმძღვანელი ამხ. გეგეშიძეს და შაპოშნიკოვს სამი დღის განმავლობაში შეიარონ საქ. კომ. პარტიის ტფილისის ორგანიზაციის პირველ რაიკომში.

საქ. კომ. პარტიის ტფ. კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

— საქ. კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტიის წევრთ და კანდიდატთ, რომელთაც უმუშავნიათ ან ეხლა მუშაობენ ტელეგრაფის, — ტელეფონ—რადიოს უწყების რომელიმე დარგში გატარდნენ არა უგვიანეს მიმდინარე წლის 15 ნოემბრისა ტფილისის კომიტეტის სააღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების რეგისტრაციაში.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **რუბენ.**

ამხ. მელითონეებს

მელითონეთა კავშირი აგროვებს მასალებს წიგნის გამოსაშვებათ „საქ. მელითონეთა კავშირის ისტორია“, ამიტომ ვთხოვთ ყველა ამხ. ვისაც რაიმე მასალა აქვს (მოგონებები—ოქმები) წარმოუდგინონ კულტურულ განყოფილების გამგეს ამხ. სალიაშვილს.

მისამართი: რუსთაველის პრ. შრომის სასახლე მე-3 სართული ოთახი 27, დილის 9—1 საათამდის. საღამოს 5—7 საათამდე.

პრეზიდიუმი.

განცხადებები

რუსთაველის თეატრი

შაბათს, 11 ნოემბერს

ვიდრე ხვალ

დადგმა ა. ფაღავასი. დასაწყისი სრულ 8 საათზე.

(კრ. 539—2—1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 10 ნოემბერს

ევგენი ონეგინი

შაბათს, 11 ნოემბერს

ჯამბაზები და ბალეტი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 538—1—1)

კვირას, 12 ნოემბერს,

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის ყველა

გოგირდის აბანოები

ღია იქნება მთელი დღე. შემოსავალი გადაეცემა ქუჩის ბავშვების პატრონობის ფონდს.

ფასები გადიდებული იქნება 50 პროც.-ით

(კრ. 540—2—1) ქალაქის აბანოების გამგე.

15 ნოემბრიდან იწყებს გამოსვლას საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს ახალი ქართული ყოველ-დღიური გაზეთი

მ უ შ ა

გაზეთი „მ უ შ ა“ ეცდება უბრალო გასაგები ენით გააცნოს ჩვენი ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებს დღევანდელი ცხოვრების ვითარება, გაუშუქოს მას სწორი გზა, გააცნოს მას მტერი და მოყვარე. გაზეთი „მ უ შ ა“ ისახავს თავის მიზნათ თვით მუშებისავე შემწეობით ყოველ მხრივ გაარკვიოს მუშათა ცხოვრება, ყური დაუგდოს მის გასაჭირს და გამოსძებნოს მის სატკივარის გამოსამართლებელი საშუალება.

არც ერთი ქარხანა და ფაბრიკა, არც ერთი სახელოსნო სადაც მუშის მარჯვენი ტრიალობს და ქმნის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო და სასარგებლო ნაშრომს არ დარჩება გაზეთ მუშის ყურადღების გარეშე.

ამხანაგებო **მუშებო!** გაზეთი „მ უ შ ა“ თქვენი გაზეთია, თვითეული თქვენთაგანი უნდა გახდეს ამ გაზეთის თანამშრომელი და გამვრცელებელი.

გვწერეთ თქვენი ყოფა ცხოვრების შესახებ.

დაურიდებლათ გაამათრახეთ ვინც ხელს გვიშლის საერთო მუშაობაში, ვინც მტრულათ და ორგულათ ეკიდება საქმეს.

ამ რაინდებს დღის სინათლეზე გამოსვლა ღვთის რისხვასავით ეშინიათ, გაზეთის ფურცლებზე მათი გამომზეურება ხელს შეუშლის მათ ბოროტგანზრახვას, ფრთას მოსტეხს მათ დამღუპველ საქმიანობას.

გაავრცელეთ ამხანაგებო ეს გაზეთი

ხელის მოწერა წინასწარვე შეიძლება შემდეგი მისამართით: რუსთაველის პროსპექტი № 24. საგაზეთო ტრესტის კანტორაში. გაზეთი ღირს ერთი თვით ტფილისში შინ მიტანით და პროვინციაში ფოსტით გაგზავნით) 75 ათასი მანეთი, **ცალკე ნომერი ყველგან 5 ათასი მანეთი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **პავლე მ. საყვარელიძე.**

საგაზეთო ტრესტის გამგეობიდან

ყველას საცნობად ცხადდება, რომ საგაზეთო ტრესტის ყოფილი კონტრაგენტი ქუთაისში მოქალაქე **მინა ხიმონის ძე ტყაბლაძე** და გაზეთ ტრესტის საექსპედიციო განყოფილების გამგე ვასილი კვინიტაძე, ამიერიდან გაზეთ ტრესტის თანამშრომლებად აღარ ითვლებიან და მათზე გაცემული ძველი მოწმობები გაუქმებულია.

გაზეთ ტრესტის გამგეობის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე.

(3—3)

ა. წ. 15 ნოემბერს დღის 12 საათზე

ამიერ-კავკასიის რკინის გზების ჯანმრთელობის განყოფილების შენობაში (პლეხანოვის პრ. 142)

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოსათვის რძის მიწოდებაზე, დახურულ კონვერტებში ფასების გამოცხადებით და სიტყვიერი ვაჭრობის მსურველთა დაშვებით. ამავე დროს, იმ პირს, რომელმაც შემოიტანა განცხადება დახურული კონვერტით, არავითარ შემთხვევაში არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სიტყვიერ ვაჭრობაში. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, როგორც დახურულ კონვერტებით განცხადებების შემოტანით, ისე სიტყვიერი ვაჭრობით, უნდა წარმოადგინოს საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე

გირაო 10.000.000 მანეთის რაოდენობისა

საჯარო ვაჭრობის შესახებ პირობების და დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ჯანმრთელობის განყოფილების სამეურნეო ქვე-განყოფილებაში ყოველ დღე, გარდა უქმე და კვირა დღეებისა, დღის 12-დან 3 საათამდე.

განცხადებების შემოტანის უკანასკნელი ვადა თავდება ნოემბრის 15-ს დღის 12 საათზე. (532—1—1)

თბილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

აცხადებს რომ 10 ნოემბერს, დღისით 12 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში ხელმეორედ დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

სასტუმროზე „ერმიტაჟზე“ შტაბის ქ. № 2 და „ახალცაზეზე“ ვორონცოვის ქუჩა, № 12.

კონდიციის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში, გადასახადთა ბიუროს გამგესთან

გადასახადთა ბიურო (კრ. 536—2—2)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

თბილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

304—25—19)

ს. კ. პ. ც.-კის საგიტ-პროპის განყოფილებამ გამოსცა და გამოვიდა გასასყიდათ

შემდეგი წიგნები ქართულ ენაზე:

1. ბოგდანოვის—„მოკლე კურსი ეკონომ.“ —	225.000 მან.
2. მარქსის—„საქირაო შრომა და კაპიტალი“—	30 000 მან.
3. ბლონინასი—„მუშა-ქალი ინტერნაციონალში“—	30.000 მან.
4. სტეპანოვის—„ნარკვევი რელიგ. რწმენათა განვითარებ.“	40 000 მან.
5. სოსნოვსკის—„რ ა ს ე ი ა“	15.000 მან.
6. ბუხარინის—„სკოლა და ეკლესია საბჭ. რესპუბ.“	10 000 მან.
7. ნევსკის—„დღესასწ. ქრისტიან და მუშურ დღეებ.“	15.000 მან.
8. ტროცკის—„იმპერიალიზმსა და რევოლიუციის შუა.“	100.000 მან.
9. ტროცკის—„ოქტომბრის რევოლიუცია“	70 000 მან.
10. ჟურნალი—„კომუნიზმის დროშა“ № 1	50 000 მან.

აღნიშნული წიგნების შეძენა შეიძლება ს. კ. პ. ც. კ—ის აგიტპროპის ექსპედიციაში—რუსთაველის პრ. № 22.

პარტიულ ორგანიზაციებს წიგნები დაეთმობათ 50 პროც. დაკლებით. კულტ.-განყ და სხ. საგანმანათლებლო ორგანიზაციებს—30 პროც. დაკლებით, კერძო პირებს და წამომწერებთ 25 პროც.

ს. კ. პ. სააგიტ. საპროპ. განყ. ექსპედიცია.

კრ. 534—5—2)

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 4.